ТЕРАБАНКИ

სს ტერაბანკის საბანკო მომსახურების

სტანდარტული პირობები

I ნაწილი

1 განმარტებები

1.1 ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 ამონაწერი - ბანკში დადგენილი ფორმით შედგენილი ინფორმაცია, კლიენტის ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ;

1.1.2 ავტორიზაცია - წინამდებარე პირობებით შეთანხმებული წესით ან/და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოხატული კლიენტის თანხმობა გადახდის ოპერაციის განხორციელებაზე.;

1.1.3 ანგარიში-კლიენტის სახელზე ბანკში გახსნილი საბანკო ანგარიში;

1.1.4 არასანქცირებული ოვერდრაფტი - კლიენტის ანგარიშზე წარმოშობილი სადებეტო ნაშთ(ებ)ი, რომელიც წარმოიშვა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე;

1.1.5 აუდიომინიტორინგი - საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხმოვანი სიგნალის მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, აუდიოკონტროლი ან/და აუდიოჩაწერა, მათ შორის სატელეფონო ზარით განხორციელებული საუბრის ჩაწერა და შენახვა;

1.1.6 ბანკი - სს ტერაბანკი ს.კ204546045 მისამართი საქართველო, თბილისი, 0103, ქეთევან დედოფლის გამზირი #3; საბანკო ლიცენზიის #0110245, გაცემული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;

1.1.7 ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი - ბანკის მიერ ნაღდი და უნაღდო სავალუტო გაცვლითი ოპერაციებისათვის დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსი რომელსაც ბანკი განსაზღვრავს საკუთარი შეხედულებისამებრ ყოველ კალენდარულ დღეს ერთხელ ან რამდენიმეჯერ;

1.1.8 ბანკომატი - თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც კლიენტს შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა, სესხის / ოვერდრაფტის გააქტიურება, თანხის გადარიცხვა, ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვა ბანკის მიერ ამ არხისათვის დაშვებული ოპერაციების ჩატარება;

1.1.9 ბარათი - ბანკის მიერ ემიტირებული ძირითადი ან/და დამატებითი, საერთაშორისო საბანკო ბარათი (VISA, MasterCard,) საგადახდო საშუალება, მათ შორის ბიზნეს ბარათი რომელიც დაკავშირებულია კლიენტის ანგარიშთან;

1.1.10 ბარათის მფლობელი - კლიენტის მიერ განსაზრვრული პირი, რომელიც განკარგავს და იყენებს ბარათთან დაკავშირებული ანგარიშზე არსებულ თანხებს.

1.1.11 გადამხდელი - პირი, რომელიც გასცემს დავალებას ან/და ეთანხმება დავალების გაცემას;

1.1.12 **გადახდის ოპერაცია** -გადამხდელის ან მიმღების მიერ ინიცირებული ფულადი სახსრების განთავსების/ჩარიცხვის, გადარიცხვის ან განაღდების ოპერაცია;

1.1.13 **განაცხადი** - ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით შექმნილი და კლიენტის მიერ მატერიალურად, ელექტრონულად ან სხვა მსგავსი საშუალებით წარმოდგენილი ან/და დადასტურებული დოკუმენტი/ინფორმაცია რაც ადასტურებს კლიენტის ნებას შესაბამისი მომსახურების/პროდუქტის მისაღებად და ითვლება კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების / ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ;

1.1.14 **დავალება** - კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული დავალება გადახდის ოპერაციის განხორციელების თაობაზე, რომელსაც კლიენტი აძლევს ბანკს წინამდებარე პირობების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.1.15 **დამატებითი ბარათი** - ბარათი, რომელსაც ბანკი გასცემს კლიენტზე ან/და კლიენტის მიერ დასახელებულ სხვა პირზე (დამატებითი ბარათის მფლობელი); დამატებითი ბარათი, მიუხედავად თავისი მფლობელისა, არის დაკავშირებული კლიენტის (ძირითადი ბარათის მფლობელის) ანგარიშთან და დამატებითი ბარათით შესრულებულ ნებისმიერ ოპერაციაზე პასუხს აგებს კლიენტი/ძირითადი ბარათის მფლობელი;

1.1.16 **ვებგვერდი -** ბანკის ვებ გვერდი www.terabank.ge;

1.1.17 **ვიდეომონიტორინგი** - საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, მათ შორის ფოტო გადაღება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა.

1.1.18 **ინტერნეტბანკი** - დისტანციური საბანკო მომსახურების ერთ-ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც კლიენტს შესაძლებლობა აქვს ბანკში გამოუცხადებლად, ბანკის ინტერნეტ გვერდის www.ebanking.ge საშუალებით, მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს განსაზღვრული საბანკო ოპერაციები;

1.1.19 **კანონმდებლობა-** საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;

1.1.20 **კლიენტი** - პირი, რომლის სახელწოდება/ სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები მოცემულია განაცხადში, რომლის სახელზეც იხსნება ანგარიში და რომელიც სარგებლობს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურებით/პროდუქტებით;

1.1.21 **კოდური სიტყვა-**სიტყვა, რომელიც ფიქსირდება კლიენტის მიერ განაცხადის შევსებისას და ცნობილია მხოლოდ კლიენტისთვის და ბანკისთვის;

1.1.22 **მესამე პირი-**ნებისმიერი პირი გარდა კლიენტისა და ბანკისა;

1.1.23 **მიმღები** – პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდის ოპერაცია;

1.1.24 **მხარე / მხარეები** - ბანკი ან/და კლიენტი ან/და ბარათის მფლობელ(ებ)ი კონტექსტის შესაბამისად;

1.1.25 **მიმდინარე ანგარიში** - ანგარიში, რომლებზეც აღირიცხება პირის ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს კლიენტი გადახდების განსახორციელებლად ან სხვა მიზნით.

1.1.26 **ნომინალური მფლობელობის ანგარიში**-ანგარიში, რომელიც გამოიყენება კლიენტისთვის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების აღსარიცხავად.

1.1.27 **პაროლი** – ინტერნეტბანკის მომსახურების მისაღებად ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო ერთ-ერთ პარამეტრი, რომელიც კლიენტს გადაეცემა ინტერნეტბანკში რეგისტრაციისთანავე;

1.1.28 **პერსონალური მონაცემი** -პირის პერსონალური (პირადი) მონაცემები, რომელიც იძლევა პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: პირის სახელი და გვარი, პირადი ნომერი ან/და მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მახასიათებლები; რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი; საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონის/მობილურის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი; ინფორმაცია პირის ნებისმიერი საბანკო/გადახდის ოპერაციის, დავალიანების და ნაშთების შესახებ ნებისმიერ კომერციულ ბანკში/საკრედიტო/სალიზინგო დაწესებულებაში; ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება პირს და რომლის საფუძველზეც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

1.1.29 **პერსონალური მონაცემების დამუშავება** - ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;

1.1.30 **პინ კოდი** -პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც ბანკის მიერ გადაეცემა კლიენტს ბარათთან ერთად დალუქულ კონვერტში ან/და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული საკონტაქტო საშუალებით ;

1.1.31 **პირობები** - წინამდებარე საბანკო მომსახურების პირობები, რომელიც (მთლიანად ან ნაწილობრივ, ამ პირობების შესაბამისად) წარმოადგენს კლიენტთან დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

1.1.32 **პირდაპირი მარკეტინგი** - ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით კლიეტნისათვის ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება ფიზიკური პირის ან/და იურიდიული პირის, საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან/და წამოწყების, აგრეთვე საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი, მათ შორის კვლევებისადმი, გამოკითხვებისადმი, წამახალისებელი გათამაშებებისადმი, ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან/და მხარდაჭერის მიზნით,

1.1.33 **პროვაიდერი** - კომუნალური, საკომუნიკაციო ან სხვა ტიპის მომსახურების მიმწოდებელი კომპანია, რომლის მომსახურების საზღაურს იხდის კლიენტი;

1.1.34 **პროფაილინგი** - მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას;

1.1.35 **საბანკო მომსახურება** - ბანკის მიერ წინამდებარე პირობების თანახმად შეთავაზებული საბანკო პროდუქტი ან/და მომსახურება;

1.1.36 **საგადახდო ინსტრუმენტი** - ბარათი, ინტერნეტბანკი, მათი რეკვიზიტები ან/და წინამდებარე პირობებით შეთანხმებული პროცედურების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც კლიენტი ახდენს დავალების ინიცირებას;

1.1.37 **საგადახდო მომსახურების პროვაიდერი** – იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საგადახდო მომსახურებას კანონმდებლობის შესაბამისად;

1.1.38 **საქართველოს ეროვნული ბანკი** - ბანკის საზედამხედველო ორგანო (www. nbg.ge) ამასთან საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ბანკის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე;

1.1.39 **საერთაშორისო საგადახდო სისტემა** - საერთაშორისო საბარათე სქემები (VISA, MasterCard და სხვა) საბარათე სქემები, რომლებსაც გააჩნიათ საერთო წესების, ტექნიკური სტანდარტების და დანერგვის სახელმძღვანელოების ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება საბარათე ოპერაციების დამუშავება.ბარათის ტიპისა და საბარათე სქემის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ბარათის განაცხადში ასევე საბარათე სქემის შესახებ ინფორმაცია დატანილია უშუალოდ ბარათზე.

1.1.40 **საკომისიო**-პირობების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტ(ებ)ის ფარგლებში და მათ შესაბამისად, ნებისმიერი სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის ბანკის მიერ კლიენტისათვის ბანკში არსებული ტარიფების შესაბამისად დაწესებული გადასახდელი;

1.1.41 **საბანკო დღე** (ან სამუშაო დღე) დღე (შაბათის, კვირის და/ან **კანონმდებლობით** კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ საქმიანობას.;

1.1.42 **საოპერაციო დღე** დროის მონაკვეთი საბანკო დღის 10:00 საათიდან 17:00 საათამდე,

1.1.43 **სახელფასე პროექტი** - ბანკის მიერ კლიენტის დამსაქმებელი ორგანიზაციისთვის შეთავაზებული მომსახურება, რომლის თანახმადაც ბანკი ორგანიზაციის თანამშრომლებს უმზადებს საბანკო ბარათებს და უწევს შესაბამის მომსახურებას;

1.1.44 **სტოპ-სია** - იმ ბარათების საერთაშორისო ან ლოკალური სია, რომლებში ჩასმულ ბარათებზეც გადახდის ოპერაციების განხორციელება დაუშვებელია და მათზე ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი;

1.1.45 **უმოძრაო ანგარიში** - ანგარიში რომელზეც უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში არ განხორციელებულა კლიენტის დავალების შესრულება.

1.1.46 **ძირითადი ბარათი** - ბარათი, რომელსაც ბანკი გადასცემს უშუალოდ კლიენტს;

1.1.47 **ხელშეკრულება** - საბანკო მომსახურების ხელშეკრულება რომელიც შედგება წინამდებარე პირობებისგან (ან მისი ნაწილისგან), ბანკის მიერ დადგენილი ან/და კლიენტთან წერილობით შეთანხმებული ტარიფებისგან და ნებისმიერი დამატებითი პირობის, დანართის ან/და განაცხადისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება არსებულ ან/და ბანკის მიერ მომავალში შეთავაზებულ საბანკო მომსახურებასა თუ პროდუქტს და რომელიც საჭირო იქნება კლიენტის მიერ დამატებითი და/ან წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურებ(ებ)ით სარგებლობისათვის.

1.1.48 **Apple** - აშშ-ში რეგისტრირებული იურიდიული პირი - კომპანია Apple, Apple Inc,

1.1.49 **Google** -აშშ-ში რეგისტრირებული იურიდიული პირი - კომპანია Google LLC

1.1.50 **ტექნოლოგიური მოწყობილობა** - მოწყობილობა (მაგალითად ტაბლეტი, ტელეფონი, საათი და ა,შრომლის გამოყენებაც შესაძლებელია ბარათის რეგისტრაციისათვის მობილური გადახდის სისტემაში გადახდების განსახორციელებლად;

1.1.51 **მობილური გადახდების სისტემა -**

ა) **Apple Pay** - Apple-ის მიერ შექმნილი საგადახდო ინსტრუმენტი-მობილური/ციფრული გადახდის სისტემა/სერვისი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს გადახდები ტექნოლოგიურ მოწყობილობაში ჩართული/დამატებული ბარათების გამოყენებით. ან

ბ) **Google Pay**- Google-ის მიერ შექმნილი საგადახდო ინსტრუმენტი-მობილური/ციფრული გადახდის სისტემა/სერვისი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს გადახდები ტექნოლოგიურ მოწყობილობაში ჩართული/დამატებული ბარათების გამოყენებით.

1.1.52 **საგადახდო აპლიკაცია** – ტექნოლოგიურ მოწყობილობაში ჩაწერილი პროგრამული უზრუნველყოფა ან მისი ეკვივალენტი, რომლითაც შესაძლებელია გადახდის დავალების ინიცირება.

1.1.53 **VISA B2B Connect ~** - საგადახდო სისტემა, რომელიც იძლევა სამეწარმეო/ბიზნეს დანიშნულებით თანხის გადახდის ოპერაციის შესაძლებლობას, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ სისტემის მიერ განსაზღვრული არხებით და პირობებით.

2 ზოგადი დებულებები

2.1 პირობები განსაზღვრავს ბანკის საბანკო მომსახურების აღწერილობას და მხარეთა უფლება-მოვალეობებს მომსახურების სარგებლობის პროცესში;

2.2 პირობები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.3 ამ დოკუმენტში განსაზღვრულია შემდეგი საბანკო მომსახურებით სარგებლობის პირობები:

- მიმდინარე ანგარიში;
- ბარათი;
- ინტერნეტბანკი;
- SMS სერვისი;
- ავტომატური გადარიცხვები;

- ვალუტის გაცვლა;
- სატელეფონო მომსახურება

2.4 წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მიღების და მომსახურების მიღების მიზნით კლიენტი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე პირობებს, სრულად შეავსოს და ხელი მოაწეროს სათანადო განაცხად(ებ)ს;

2.5 კლიენტის განაცხადის განხილვის შედეგად ბანკი იღებს გადაწყვეტილებას გაუწიოს თუ არა კლიენტს განაცხადით მოთხოვნილი მომსახურება. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, გადაწყვეტილების მისაღებად კლიენტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის, დოკუმენტაციის წარდგენა ან/და განაცხადების/აქტების შევსება (მათ შორის სათანადო შემთხვევაში თუ კლიენტს აშშ საგადასახადო კანონმდებლობით ეკისრება უცხოური ანგარიშების საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შევსება). კლიენტის მიერ განაცხადის შევსება, აგრეთვე დამატებითი დოკუმენტაციის ბანკისათვის წარდგენა არ ავალდებულებს ბანკს გაუწიოს კლიენტს პირობებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურება;

2.6 ბანკი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე, თუ კლიენტმა არ შეავსო, ხელი არ მოაწერა ან ბანკს არ მიაწოდა რომელიმე ზემოაღნიშნული დოკუმენტი ბანკისათვის მისაღები ფორმითა და შინაარსით. ამასთან, ბანკს უფლება აქვს, ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მიიღოს განაცხადი და უარი განუცხადოს კლიენტს მომსახურების გაწევაზე, მიზეზის გაცხადების გარეშე;

2.7 კლიენტი განაცხადის წარმოდგენით ეთანხმება წინამდებარე პირობებს და ბანკთან ამ პირობების შესაბამისად ხელშეკრულების დადებას;

2.8 კლიენტის მიერ პირობებში აღწერილი რომელიმე საბანკო მომსახურების (ან მისი ნაწილის) გამოყენება განიხილება, როგორც კლიენტის თანხმობა წინამდებარე პირობებზე და მოცემული პირობებით ბანკთან ხელშეკრულების დადებაზე;

2.9 წინამდებარე პირობები განთავსებულია და შესაბამისად კლიენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს მას ბანკის ვებ გვერდზე.

2.10 ბანკი უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს ან/და დროებით შეწყვიტოს ამ პირობებით განსაზღვრული მომსახურება ნებისმიერ დროს, რის თაობაზეც ბანკი აცნობებს კლიენტს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2.11 ბანკის მიერ საგადახდო მომსახურების განხორციელების წესები მოცემულია წინამდებარე პირობებში და ბანკის ვებ-გვერდზე, ამასთან, ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციასა და წინამდებარე პირობებს შორის წინააღდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე პირობებს.

2.12 კონკრეტული საგადახდო მომსახურების ფარგლებში კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება შეიძლება განახორციელოს ბანკის თანამშრომელმა ზეპირად, ხოლო დისტანციური საბანკო მომსახურების მიღებისას კლიენტს შეუძლია იხელმძღვანელოს ვებ-გვერდზე განთავსებული წესებით და წინამდებარე პირობებით.

I I ნაწილი

3. მიმდინარე ანგარიში

3.1. ანგარიშის გახსნა

3.1.1 ბანკი კლიენტს უხსნის მიმდინარე ანგარიშ(ებ)ს და უწევს მას მომსახურებას ამ პირობებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით;

3.1.2 მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი იხსნება კლიენტის განაცხადისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე.

3.2 ოპერაციები ანგარიშზე

3.2.1 ბანკი კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან თანხ(ებ)ის გადარიცხვის შესახებ დავალების შესრულებას უზრუნველყოფს მიმდინარე ანგარიშზე საკმარისი ნაშთის არსებობის შემთხვევაში და იმ პირობით თუ აღნიშნული დავალება არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს ან/და წინამდებარე პირობებს:

ა) იმავე სამუშაო დღეს, თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, ან

ბ) არაუგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერი ემსახურება;

3.2.2 დავალება მიღებულად ჩაითვლება:

ა) დავალების ინიცირების დღეს, თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, ან

ბ) თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერი ემსახურება, დავალების საოპერაციო დღის განმავლობაში მიღებისას, მისი ინიცირების დღეს, ხოლო საოპერაციო დღის შემდეგ ინიცირებისას, მომდევნო სამუშაო დღეს.

3.2.3 დავალება უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით და/ან ბანკის მიერ შესაბამისი დავალების ფორმით განსაზღვრულ რეკვიზიტებს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის გადარიცხვის შესახებ დავალება გულისხმობს თანხის გადარიცხვას სხვა ბანკში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ვადაზე, რომელიც შესაძლებელია დასჭირდეს მიმღებ ბანკს გადარიცხული თანხის მიმღების ანგარიშზე ასახვისათვის; გადახდის დავალება შესაძლებელია ვერ შესრულდეს დავალების გაცემისთანავე, თუმცა ბანკი უფლებამოსილია შესაბამის თანხები სრული მოცულობით კლიენტს ანგარიშ(ებ)იდან ჩამოაჭრას ან დაბლოკოს ასეთი დავალების მიღებისთანავე;

3.2.4 კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე ფულადი სახსრები შეიძლება ჩაირიცხოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო წესით;

3.2.5 კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხული თანხ(ებ)ის ასახვას, ბანკი უზრუნველყოფს არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, იმ პირობით, თუ აღნიშნული ოპერაცია არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს ან/და წინამდებარე პირობებს. ამასთან, აღნიშნული ვადა შეიძლება გაიზარდოს ბანკის შეხედულებისამებრ, იმ შემთხვევაში თუ ოპერაციის კანონიერების ან/და წინამდებარე პირობებთან შესაბამისობის შესამოწმებლად საჭიროა დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

3.2.6 კლიენტი ვალდებულია ბანკს მისცეს მხოლოდ იმგვარი დავალება მიმდინარე ანგარიშზე გადახდის ოპერაციების საწარმოებლად, რომელიც კანონმდებლობით არ არის აკრძალული;

3.2.7 კლიენტს არ აქვს უფლება გამოიყენოს მიმდინარე ანგარიში სამეწარმეო მიზნებისთვის, თუ მას არ აქვს შესაბამისი საგადასახადო/სამეწარმეო სტატუსი და პასუხისმგებელია აღნიშნული ვალდებულების დაღვევით გამოწვეულ შედეგებზე;;

3.2.8 ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს გადახდის ოპერაციის შესრულება ან უარი თქვას მის შესრულებაზე თუ ბანკის შეფასებით ოპერაცია მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ან/და ტერორიზმსა და სხვა საერთაშორისო დანაშაულებში ბრალდებულ პირთა დაფინანსებას ან ეწინააღმდეგება წინამდებარე პირობებით ან/და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

3.2.9 ბანკი უფლებამოსილია, კლიენტისგან მოითხოვოს მის მიმდინარე ანგარიშზე განხორციელებული ნებისმიერი გადახდის ოპერაციის ეკონომიკური დასაბუთება და ოპერაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია და/ან დოკუმენტი, ხოლო ასეთი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ შეასრულოს დავალება;

3.2.10 კლიენტი ვალდებულია, მის მიმდინარე ანგარიშზე გადახდის ოპერაცი(ებ)ის წარმოებისათვის გადაუხადოს ბანკს საკომისიო ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად;

3.2.11 ბანკს უფლება აქვს არ შეასრულოს დავალება მიმდინარე ანგარიშიდან გადახდის ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებით და დავალების შეუსრულებლობის შესახებ წინამდებარე პირობებით შეთანხმებული ნებისმიერი ფორმით შეატყობინოს კლიენტს, იმ შემთხვევაში თუ:

ა) ვერ ხერხდება კლიენტის სრულფასოვანი იდენტიფიკაცია;

ბ) დავალება შედგენილი ან წარდგენილია ბანკში დადგენილი წესის დარღვევით, ამ პირობების საწინააღმდეგოდ ან შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას (მითითებებს);

გ) დავალებაში აღნიშნული თანხა აღემატება მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ხელმისაწვდომ თანხას ან ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებს;

დ) კლიენტს ანგარიშზე არ აქვს დავალების შესასრულებლად აუცილებელი ბანკის საკომისიოს თანხა, ან/და არ იხდის აღნიშნულ საკომისიოს;

ე) ბანკს გაუჩნდა ეჭვი კანონსაწინააღმდეგო ოპერაციის განხორციელების მცდელობის შესახებ;

ვ) კლიენტმა ბანკს არ წარუდგინა აღნიშნულ ოპერაციასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია ან დოკუმენტი.

ზ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ოპერაციის შესრულების შეუძლებობისას.

3.2.12 კლიენტის ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა როგორც წესი, ხორციელდება ამ პირობებით გათვალისწინებული წესით მიღებული კლიენტის თანხმობის, ნებართვის, დავალების, ან მოთხოვნის საფუძველზე;

3.2.13 ბანკი უფლებამოსილია შეასრულოს ფიზიკური პირი კლიენტის დავალება, კლიენტის დამატებითი წერილობითი თანხმობის/დავალების გარეშე კლიენტისთვის (მის მიერ

განაცხადში მითითებულ საკონტაქტო ნომერზე) გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი კოდის კლიენტის მიერ ბანკისთვის წარდგენის (ბანკის თანამშრომლისთვის ზეპირად განცხადების) შემთხვევაში ბანკის მიერ განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში; მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავილი კოდით დადასტურება მხარეთა შორის ურთიერთობებში უთანაბრდება კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას;

3.2.14 ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ, კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე ჩამოწეროს თანხები შემდეგ შემთხვევებში:

ა) შეცდომით ან/და კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ჩარიცხული ან/და საეჭვო თანხ(ებ)ის უკან დასაბრუნებლად (მათ შორის შუამავალი ბანკის მოთხოვნის საფუძველზე);

ბ) არსებული ტარიფების შესაბამისად მომსახურების საკომისიოს ან/და ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარავად ან ვალდებულების შესასრულებლად;

გ) მოქმედი კანონმდებლობით ან/და კლიენტსა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულებით, შეთანხმებით ან/და სხვა დოკუმენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

3.2.15 ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 1 დღის ვადაში კლიენტი ვალდებულია, შეატყობინოს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და აღნიშნული თანხა უკანვე დაუბრუნოს მას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბანკმა აღნიშნული თანხა უკვე ჩამოჭრა კლიენტის ანგარიშიდან უაქცეპტო წესით) ხოლო ამ ვალდებულების შეუსრულებლობისას გადაუხადოს ბანკს ჯარიმა - შეცდომით ჩარიცხული თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

3.2.16 ბანკი კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწვდის მას ამონაწერს კლიენტის ანგარიშიდან ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაციას კლიენტის ანგარიშზე განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესახებ;

3.2.17 კონკრეტული გადახდის ოპერაციის დეტალების შესახებ კლიენტს ინფორმაციის მიღება შეუძლია ბანკის ფილიალის, სერვისცენტრის/სერვისდესკის ან/და სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურების განყოფილების საშუალებით, ასევე გადახდის ოპერაციის ტიპიდან გამომდინარე კლიენტზე შეიძლება გაიცეს ამონაწერი, ცნობა, ქვითარი ან/და სხვა დოკუმენტი ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით და პირობებით.

3.2.18 კლიენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს ბანკს არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესაბამისი თანხის ანაზღაურება, თუ არაავტორიზებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 40 დღეზე მეტი ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 180 დღეზე მეტი და კლიენტმა არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესახებ ბანკს წერილობით შეატყობინა ამგვარი ოპერაციის თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა.

3.2.19 „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2024 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე

არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 30 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge. "

3.3 მომსახურების შეჩერება, ანგარიშის დახურვა

3.3.1 ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის მიერ ამ პირობებით ან/და ბანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნულის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაბლოკოს კლიენტის ნებისმიერი ანგარიში ან/და მასზე არსებული თანხები, რაც გამორიცხავს აღნიშნულ ანგარიშზე/თანხებზე ნებისმიერი გადახდის ოპერაციის განხორციელებას, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა;

3.3.2 ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი გადაწყვეტილებით, წინამდებარე პირობებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას არ მიიღოს ანგარიშზე შენატანი ან/და მოსთხოვოს კლიენტს ანგარიშის დახურვა;

3.3.3 ბანკს უფლება აქვს დახუროს მიმდინარე ანგარიში :

ა) კლიენტის განცხადების საფუძველზე;

ბ) კლიენტის მხრიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში ანგარიშის მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობის ან/და კლიენტის ანგარიშზე ნაშთის არარსებობისას;

გ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

მიმდინარე ანგარიშის დახურვის შემდეგ კლიენტს შეუწყდება წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა მომსახურება.

3.4 ნომინალური მფლობელის ანგარიში

3.4.1 ნომინალური მფლობელის ანგარიშის მომსახურებაზე, თუ ქვემოთ სხვაგვარად არ არის დარეგულირებული, გავრცელდება მე-3 მუხლის ზემოთ მოყვანილი პუნქტებით გათვალისწინებული პირობები.

3.4.2 ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე შეიძლება განთავსდეს და/ან ამ ანგარიშიდან გადაირიცხოს მხოლოდ ანგარიშის მფლობელი პირის კლიენტის სახსრები, რომელსაც ეს პირი ფლობს და განკარგავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით.

3.4.3 ანგარიშზე ფულადი სახსრები შეიძლება ჩაირიცხოს მხოლოდ უნაღდო წესით;

3.4.4 ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შინაარსსა და დანიშნულებაზე პასუხს აგებს ანგარიშის მფლობელი.

3.5 საბიუჯეტო ორგანიზაციების მომსახურების დამატებითი პირობები

3.5.1 წინამდებარე 3.5 პუნქტით განსაზღვრული პირობები ვრცელდება მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებზე. ბანკი განახორციელებს აღნიშნული ორგანიზაციების

მომსახურებას წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით, შემდეგი დამატებითი პირობების გათვალისწინებით:

ა) ანგარიშზე/ანგარიშიდან შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გახსნილი ანგარიშ(ებ)იდან თანხის ბანკში არსებულ ანგარიშზე გადმოტანა, სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე თანხის გადატანა, ბანკში არსებულ სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ზე თანხის გადატანა და აღნიშნული სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)იდან თანხის გადმოტანა;

ბ) ანგარიშზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით ან ანგარიშ(ებ)ის დახურვის შემდეგ გადაირიცხება კლიენტის სახელმწიფო ხაზინაში არსებულ ანგარიშ(ებ)ზე;

გ) სახელმწიფო ხაზინის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე შეაჩეროს/შეწყვიტოს ნებისმიერი შესაბამისი ოპერაციის განხორციელება, გადარიცხოს ანგარიშზე არსებული თანხები კლიენტის სახელმწიფო ხაზინაში არსებულ ანგარიშ(ებ)ზე ან/და დახუროს კლიენტის ნებისმიერი ანგარიში;

დ) ნებისმიერი ისეთი ანგარიშ(ებ)ის გახსნა, რომელზეც არ გავრცელდება ზემოაღნიშნული შეზღუდვები საჭიროებს უფლებმოსილი ორგანოს თანხმობას

ე) კლიენტი თავად უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა საკომისიოს ბანკისათვის გადახდას ბანკის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

ვ) ბანკი უფლებამოსილია დააზუსტოს/გადაამოწმოს სახელმწიფო ხაზინასთან კლიენტის მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი ოპერაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ფაქტი, ასევე მიაწოდოს სახელმწიფო ხაზინას ინფორმაცია კლიენტის მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი ოპერაციის ან/და კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე არსებული ნაშთების შესახებ.

4 ბარათი

4.1 ბარათის გაცემა/დაბრუნება

4.1.1 ბარათ(ებ)ს ბანკი ამზადებს კლიენტის მიერ შევსებული სათანადო განაცხადის საფუძველზე და გადასცემს კლიენტს სარგებლობაში; საბარათე სქემიდან ან/და ბარათის ტიპიდან გამომდინარე, ბარათთან მიმართებით არსებული კონკრეტული (მათ შორის დაშვებული ან/და შეზღუდული ოპერაციების შესახებ) პირობები (ასეთის არსებობისას) განისაზღვრება განაცხადით.

4.1.2 კლიენტი ვალდებულია შეამოწმოს გადაცემული კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია პინ კოდი (ასეთის არსებობისას);

4.1.3 ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს კლიენტს ბარათ(ებ)ის დამზადებაზე ან/და აღდგენაზე;

4.1.4 ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას;

4.1.5 ბარათით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ბარათზე მითითებული ვადის მიხედვით. ბარათის მოქმედების ვადა იწურება ბარათზე მითითებული წლის შესაბამისი თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ;

4.1.6 თუ წარმოიშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბარათი გამოიყენება უკანონო ქმედებებისათვის, ბანკი უფლებამოსილია, ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში შეცვალოს ის და მოსთხოვოს მომხმარებელს ძველი ბარათის დაბრუნება;

4.1.7 თუ კლიენტი/ბარათის მფლობელი მუშაობს ორგანიზაციაში, რომელიც ჩართულია ბანკის სახელფასე პროექტში, კლიენტი/ბარათის მფლობელი თანახმაა ორგანიზაციის შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირმა კლიენტის/ბარათის მფლობელის სახელით:

ა) ხელი მოაწეროს და წარუდგინოს ბანკს განაცხადი ბარათის დამზადების/განახლების ან/და ოვერდრაფტის/საკრედიტო ლიმიტის დაშვების შესახებ;

ბ) ბანკისგან მიიღოს (ჩაიბაროს) და კლიენტს/ბარათის მფლობელს გადასცეს ბარათი, პინ კოდი.

4.1.8 იმ შემთხვევაში, თუ ბარათის მფლობელი ბარათის დამზადებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში არ მოითხოვს ბარათს, მაშინ აღნიშნული ბარათი ექვემდებარება განადგურებას. გადახდილი ბარათის დამზადების საკომისიო არ ბრუნდება.

4.1.9 კლიენტი/ბარათის მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს ბარათის რეკვიზიტების ჩატვირთვა/დამახსოვრება საგადახდო აპლიკაციაში, ასევე საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილ მოწყობილობაში, რისთვისაც იგი ვალდებულია გაეცნოს საგადახდო აპლიკაციის და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის მოხმარების წესებს და პირობებს და იყოს პასუხსიმგებელი აღნიშნული და წინამდებარე პირობების შესაბამისად საგადახდო აპლიკაციით.

4.1.10 კლიენტს უფლება მოითხოვოს და მიიღოს ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან.

4.2 ბარათით მომსახურება

4.2.1 ბარათით მომსახურება გულისხმობს ბანკის მიერ გამოშვებული ბარათის მეშვეობით, კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ გადახდის ოპერაციების განხორციელებას;

4.2.2 წინამდებარე პირობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს საერთაშორისო საგადახდო სისტემების პროცედურები და წესები; შესაბამისად ბარათის გამოყენება რეგულირდება წინამდებარე პირობებით, საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო საგადახდო სისტემების პროცედურები და წესებით. კლიენტი ვალდებულია დაიცვას აღნიშნული წესები და რეკომენდაციები, მათ შორის ბარათის უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებით;

4.2.3 ბარათის რეკვიზიტების ჩატვირთვა/დამახსოვრება შესაძლებელია საგადახდო აპლიკაციაში, ასევე საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილ ტექნოლოგიურ მოწყობილობაში. ასეთ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გაეცნოს საგადახდო აპლიკაციის და საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილი მოწყობილობის მოხმარების წესებს და პირობებს (მათ შორის ბარათით ოპერაციის შესრულების პირობებს) და თავად იკისროს პასუხისმგებლობა საგადახდო აპლიკაციის ან/და საგადახდო აპლიაციით აღჭურვილი მოწყობილობის მეშვეობით ჩატარებულ ოპერაციებზე მათ შორის არასწორ ან/და მესამე პირების მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე.

4.2.4 კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ ბარათის, პინ კოდის ან/და ბარათის ნებისმიერი რეკვიზიტის გამოყენებით ჩატარებული გადახდის ოპერაცია განიხილება კლიენტის მიერ გადახდის ოპერაციის ავტორიზაციად.

4.2.5 თუ წინამდებარე მუხლით სხვაგვარად არ არის დარეგულირებული, ბარათით მომსახურებაზე გავრცელდება მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობები.

4.2.6 ბანკი უფლებამოსილია ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტზე გაცემული ყველა ბარათით, მათ შორის დამატებითი ბარათით ჩატარებული გადახდის ოპერაციების, აგრეთვე საგადახდო სისტემების გავლით წარდგენილი ოპერაციების და საკომისიოს ექვივალენტი სახსრები ბანკში ან/და საერთაშორისო საგადახდო სისტემებში მოქმედი ტარიფების შესაბამისად;

4.2.7 ბარათის საშუალებით შესაძლებელია შემდეგი გადახდის ოპერაციების განხორციელება:

ა) თანხის გადახდა, პროდუქტის ან მომსახურების შეძენა, მათ შორის ინტერნეტით;

ბ) თანხის განაღდება ბანკომატებსა და საბანკო მომსახურების ობიექტებში.

გ) თანხის ჩარიცხვა ან/და თანხის შეტანა;

დ) ვალუტის გადაცვლა.

4.2.8 არსებულ ანგარიშზე ბარათით ჩატარებული ოპერაციები რომელიც განხორციელდა ლარში, აშშ დოლარში, ევროში, ფუნტში აისახება კლიენტის ანგარიშზე იგივე ვალუტაში. იმ შემთხვევაში, თუ ბარათით შესრულებული გადახდის ოპერაცია განხორციელდა ისეთ ვალუტაში, რომელშიც კლიენტს არ გააჩნია ანგარიში ან რომელშიც კლიენტს გააჩნია ანგარიში, მაგრამ აღნიშნულ ანგარიშზე არ ირიცხება გადახდის ოპერაციის შესასრულებლად საკმარისი ნაშთი - ასეთი ოპერაცია შესრულდება კლიენტის სხვა ვალუტაში არსებული საბარათე ანგარიშიდან თანხის კონვერტაციით საბანკო პროგრამაში ოპერაციის ასახვის დღეს არსებული ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად; ასეთ შემთხვევაში სხვა ვალუტაში რამდენიმე ანგარიშზე ნაშთის არსებობისას, პირველ რიგში ოპერაცია შესრულდება უფრო დიდი ნაშთის მქონე ანგარიშიდან თუ ანგარიშზე არსებული ნაშთები ტოლია, კონვერტაციის პრიორიტეტულობა იქნება შემდეგი: ლარი/ აშშ დოლარი / ევრო /ფუნტი. ნებისმიერ სხვა ვალუტაში (რომელშიც კლიენტს ბანკში ანგარიში არ გააჩნია) განხორციელებული ოპერაცია აისახება აშშ დოლარში. ამ შემთხვევაში კონვერტაციის კურსი განისაზღვრება საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების დღეს არსებული სისტემის კურსით, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამისი საგადახდო სისტემის ვებ-გვერდზე: VISA - https://bit.ly/2J92TPb, ხოლო MasterCard - https://bit.ly/3ozFTJt; ასთან, VISA ბარათით ლარი, დოლარი, ევრო, ფუნტისგან განსხვავებულ ვალუტაში შესრულებულ ოპერაციას საკომისიოს სახით დაემატება ტრანზაქციის თანხის 3%.

4.2.9 ბარათით განხორციელებული ოპერაცია შესაძლოა იყოს:

ა) ოფ-ლაინ - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ბანკთან/საგადახდო სქემასთან დაკავშირების გარეშე და შესაბამისად ბარათის ანგარიშზე არსებული, ოპერაციის შესაბამისი თანხის ხელმისაწვდომობის გადამოწმების გარეშე. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ანგარიშზე მოხდეს გადახარჯვა. ბარათით განხორციელებულ ოფლაინ ტრანზაქციების შემთხვევაში (მათ შორის, რეკურენტული გადახდების შემთხვევაში) კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ოფლაინ ტრანზაქცია(ები) სრულდება ბანკის დადასტურების გარეშე, შესაბამისად, ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კლიენტის ბარათით ოფლაინ ტრანზაქცი(ებ)ის შესრულების

გამო, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ოფლაინ ტრანზაქციები განხორციელებული ბარათის ბლოკირების შემდეგ.

ბ) ონლაინ - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ბანკის ან შესაბამისი საბარათე სქემის მიერ ემიტენტის სახელით;

გ) ავტომატურად განმეორებადი (რეკურენტული) ოპერაცია - მომსახურების ან/და საქონლის საფასურის პერიოდული გადახდა, როდესაც ბარათით საფასურის გადახდის დავალება, ინიციირებულია გამყიდველის/მომსახურების გაწევის მიერ, ბარათის მფლობელის წინასწარი თანხმობის საფუძველზე.

4.2.10 კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებულია:

ა) დაიცვას წინამდებარე პირობები, გაეცნოს და დაიცვას შესაბამისი საგადახდო სისტემის და ბარათის უსაფრთხოების წესები, ასევე - უზრუნველყოს მათი განუხრელი დაცვა დამატებითი ბარათის ყველა მფლობელის მხრიდან;

ბ) არ დაუშვას ბარათის, პინ კოდის ან/და ბარათის ნებისმიერი რეკვიზიტის (მათ შორის ბარათის ნომერი, ბარათის მოქმედების ვადა, CVV/CVC კოდი) მესამე პირებისთვის გადაცემა (გამჟღავნება)და პაუსიხმგებელი იყოს აღნიშნულის დაუცველობის შედეგად ბარათის არაავტორიზებულად გამოყენების ყოველგვარ რისკზე; მათ შორის და არამხოლოდ არ შეინახოს პინ კოდი/ბარათი/ბარათის რეკვიზიტები ისეთი ფორმით ან ისეთ მატერიალურ ან ელექტრონულ მატარებლებზე, რომელიც იძლევა მათი დისკრედიტაციის და გამჟღავნების საშუალებას;

გ) ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გაეცნოს ბარათის მეშვეობით განხორციელებულ ყველა ოპერაციას;

დ) ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშისა და ბარათ(ებ)ის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი ყველა საკომისიო;

ე) არასოდესროს არ დაწეროს პინ კოდები ან/და ბარათის მონაცემები ისე, რომ მესამე პირებმა შეძლონ მათი მოპოვება.

ვ) ინტერნეტ სივრცეში ბარათის მონაცემების შენახვის/დამახსოვრების შემთხვევაში გაითვალისწინოს ბარათის მონაცემების შესაძლო გამჟღავნებისა და არაავტორიზებული ოპერაციების შესრულების რისკი.

ზ) რეგულარულად გაეცნოს და დაიცვას ბანკის მიერ შემუშავებული საბანკო ბარათის მომსახურების პირობები და უსაფრთხოების სხვა წესები,

4.3 გასაჩივრება

4.3.1 კლიენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მის საბარათე ანგარიშზე წარმოებული ოპერაციები და სხვა უზუსტობები გადახდის ოპერაციის შესრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში . ბანკის მიერ კლიენტის პრეტენზიის/საჩივრის მიღების პირობები განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე. სადავო ტრანზაქციის გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ ოპერაცია ჩაითვლება კლიენტის მიერ დადასტურებულად. ამასთან, კლიენტის მიერ რაიმე ოპერაციის გასაჩივრება არ ნიშნავს ბანკის უპირობო ვალდებულებას აუნაზღაუროს კლიენტს აღნიშნული

ოპერაციების ჩატარების შედეგად მიყენებული ზარალი. კლიენტის მიერ ოპერაციების გასაჩივრების თითოეული შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად შესაბამისი საგადახდო სისტემების მიერ დადგენილი წესების, საერთაშორისო და ადგილობრივ საბანკო სექტორში დამკვიდრებული პრაქტიკის და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;

4.3.2 ბანკი განიხილავს კლიენტის საჩივარს მისი წარდენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა. თუ ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, ბანკი ბარათის მფლობელს აცნობებს დაგვიანების დასაბუთებული მიზეზს, საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების ვადას. საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისა და ბარათის მფლობელისთვის გაცნობის მაქსიმალური ვადაა საჩივრის მიღებიდან 55 სამუშაო დღე.

4.3.3 გასაჩივრებული თანხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, კლიენტის საბარათე ანგარიშზე თანხის ასახვა მოხდება საერთაშორისო საგადახდო სისტემების რეგულაციებისა და ბანკის შიდა პროცედურების შესაბამიდ ბანკის მიერ თანხის მიღებისთანავე.

4.3.4 საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით ბანკისათვის წარდგენილი საჩივრის დადგენილ ვადაში დაუკმაყოფილებლობის (მათ შორის, პასუხგაუცემლობის) ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, თქვენ უფლებამოსილი ხართ, განსახილველ საჩივართან დაკავშირებით, ბანკისთვის საჩივრით მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში მიმართოთ საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას, რომელიც დავას განიხილავს უსასყიდლოდ.

4.4 შეზღუდვები

4.4.1 საბარათე ანგარიშზე რიცხული თანხების განკარგვა შესაძლებელია ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში;

4.4.2 ბანკს უფლება აქვს, შეუზღუდოს კლიენტს გადახდის ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობა, თუ ოპერაციის მოცულობა აჭარბებს კლიენტის ბარათზე დადგენილ განაღდების ან ანგარიშსწორების ლიმიტებს ან ოპერაცია ეწინააღმდეგება წინამდებარე ან საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ დადგენილ პირობებს;

4.4.3 ბანკი უფლებამოსილია დაბლოკოს ბარათი ან/და საბარათე ანგარიში (შეაჩეროს გადახდის ოპერაციები) იმ შემთხვევაში, თუ:

ა) კლიენტმა არასწორი ინფორმაცია მიუთითა განაცხადში;

ბ) გაჩნდება ეჭვი, რომ ბარათის გამოყენებით ან საბარათე ანგარიშზე ხორციელდება ან/და განხორციელდა არასანქცირებული ან/და მართლსაწინააღმდეგო ოპერაცია;

გ) არაკანონიერი ოპერაციების ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, საეთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ ბარათის არაკანონიერი გამოყენების დამადასტურებელი ინფორმაციის მიღებისთანავე;

დ) კლიენტის მიერ ამ პირობებით ან/და ბანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის

ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

4.4.4 კლიენტის/ბარათის მფლობელის რომელიმე ანგარიშზე საინკასო დავალების ან ყადაღის დადების შემთხვევაში, კლიენტის/ბარათის მფლობელის ანგარიშზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ან/და ოვერდრაფტის ათვისების შესაძლებლობა უქმდება.

4.5 დამატებითი ბარათი

4.5.1 კლიენტს შეუძლია, ბანკისაგან მოითხოვოს ნებისმიერი მესამე პირისათვის დამატებითი ბარათ(ებ)ის გაცემა. დამატებითი ბარათის გაცემაზე ბანკის თანხმობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია, ბარათის მფლობელს გააცნოს წინამდებარე პირობები.

4.5.2 კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, ბარათის მფლობელ(ებ)ს გადასცეს ინფორმაცია მისი კუთვნილი ანგარიშ(ებ)ის შესახებ;

4.5.3 დამატებითი ბარათით სარგებლობის შედეგად, ბანკის წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებელია კლიენტი;

4.5.4 ახალი დამატებითი ბარათის დამზადების მოთხოვნა კლიენტს და ბარათის მფლობელს შეუძლიათ მხოლოდ ერთობლივად.

4.6 ბარათის დაკარგვა

4.6.1 თუ ბარათი ან/და საგადახდო აპლიკაცია ან/და საგადახდო პალიკაციით აღჭურვილი მოწყობილობა (ტელეფონი, საათი, სამაჯური ან სხვა), რომელშიც ჩატვირთულია/დამახსოვრებულია ბარათი (ბარათის რეკვიზიტები), დაიკარგა/მოიპარეს ან კლიენტს/ბარატის მფლობელს ეჭვი აქვს, რომ გამჟღავნდა პინ კოდი ან ბარათის სხვა მონაცემი, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ბანკს კლიენტმა/ბარათის მფლობელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბანკს ცხელი ხაზის საშუალებით: ტელ (+995 32) 255 00 00 ან/და მობილური ტელეფონით დაკავშირების შემთხვევაში ასევე ტელ *5050, ან გაუგზავნოს ბანკს შეტყობინება ინტერნეტბანკით ან გამოცხადდეს ბანკში პირადად, რის შემდეგაც ბანკი უზრუნველყოფს ბარათის დაბლოკვას. ბარათის განბლოკვა განხორციელდება კლიენტის განცხადების შესაბამისად. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ ბარათით შესაძლებელია გადახდა პინ კოდის გარეშე, მაშინ კლიენტი ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ ბარათის დაბლოკვამდე გადახდის ოპერაციის შესრულება შესაძლებელია ყოველგვარი დაბრკოლების (პინ კოდის გამოყენების) გარეშე. ბანკი უზრუნველყოფს ბარათის მოქმედების შეჩერებას ბარათის მფლობელის მოთხოვნის შესაბამისად: ა) ლოკალურ სტოპ-სიაში, რომელიც არაუმეტეს 1 (ერთ) საბანკო დღეში უზრუნველყოფს ბარათის ბლოკირებას მხოლოდ ავტორიზებული გადახდის ოპერაციებისთვის;

ბ) საერთაშორისო სტოპ-სიაში, რომელიც უზრუნველყოფს ბარათის სრულ ბლოკირებას (არაავტორიზებული) გადახდის ოპერაციებისთვის ჩათვლით) სიაში ჩასმის თარიღიდან14 (თოთხმეტ) კალენდარული დღის განმავლობაში. ბარათის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანის საკომისიო;

4.6.2 ბარათის მოქმედების შეჩერების შესახებ ბანკისათვის სატელეფონო შეტყობინების მიწოდებიდან არაუგვიანეს მეორე საბანკო დღისა კლიენტი ვალდებულია, ბანკში წარადგინოს წერილობითი განცხადება ბარათის დაკარგვის შესახებ და მიუთითოს სტოპ სიის (ლოკალური, საერთაშორისო) ტიპი, რომელშიც უნდა მოთავსდეს ბარათი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი პასუხს არ აგებს დაკარგული ბარათით განხორციელებულ ოპერაციებზე;

4.6.3 დაკარგული ბარათის აღმოჩენის შემთხვევაში კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის ბანკს;

4.6.4 ბარათის დაკარგვის მომენტიდან, ბანკში შესაბამისი წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მოსვლამდე, ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის ანგარიშიდან ჩამოწეროს (შესაბამისი ნაშთის არსებობის შემთხვევაში) ან დაბლოკოს, ბარათით ჩატარებული გადახდის ოპერაციისთვის საჭირო თანხა ან თანხის ექვივალენტი სხვა ვალუტაში;

4.7 არასანქცირებული გადახარჯვა

4.7.1 არასანქცირებული გადახარჯვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეავსოს ანგარიშზე თანხა ნულოვანი ნაშთის ოდენობამდე;

4.7.2 არასანქცირებული გადახარჯვის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს მოთხოვოს კლიენტა საკომისიო გადახდა არასანქცირებული გადახარჯვის თარიღიდან, მის სრულად დაფარვამდე, არასანქცირებულად გადახარჯული თანხის 0.5% ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.8 ბარათის უსაფრთხოება

4.8.1 კლიენტის მიერ სათანადო განაცხადის და დოკუმენტაციის წარდგენის და ბანკში დადგენილი შესაბამისი საკომისიოს გადახდის საფუძველზე, ბანკი იღებს ვალდებულებას, კლიენტს აუნაზღაუროს ბარათის ან ბარათის რეკვიზიტების გამოყენებით ჩატარებული არალეგალური ოპერაციით მიყენებული ზიანი, კლიენტის მიერ განაცხადის შევსების მომენტში ბანკის მიერ დადგენილი პირობებით;

4.8.2 კლიენტი უფლებამოსილია, გააკეთოს 4.8.1 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადი დისტანციური მომსახურების საშუალებით, მათ შორის ინტერნეტ-ბანკით ან სატელეფონო მომსახურებით;

4.8.3 წინამდებარე 4.8.1 პუნქტით გათვალისწინებული ბანკის ვალდებულება ძალაშია ბარათის მოქმედების ვადაში. ამასთან, ბანკი არ იქნება ვალდებული აანაზღაუროს ნებისმიერი ზიანი, კლიენტის მიერ შესაბამისი საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში.

4.9 ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი

4.9.1ბარათის 3D უსაფრთხოება წარმოადგენს დაცვის დამატებით საშუალებას, რომლის მიზანია უზრუნველყოს VISA ან MasterCard-ის საერთაშორისო საგადახდო სისტემაში

ჩართული ბარათით ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოდ შესრულება Verified by Visa და MasterCard SecureCode სერვისების სახით.

4.9.2 ბარათის 3D უსაფრთხოების გასააქტიურებლად კლიენტმა ბანკის ფილიალებსა და სერვის ცენტრებში უნდა შეავსოს შესაბამისი განაცხადი. ბანკი უფლებამოსილია უსაფრთხოების გამომდინარე თავისი ინიციატივით ავტომატურად მოახდინოს ბარათის მფლობელისათვის 3D უსაფრთხოების ჩართვა.

4.9.3 ბარათით ინტერნეტში ტრანზაქციების განხორციელებისას 3D უსაფრთხოების ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი გაიგზავნება ბანკში საბანკო ბარათის მფლობელზე დარეგისტირებულ ნომერზე.

4.9.4 3D უსაფრთხოების გამოყენებით ინტერნეტით გადახდებისვის აუცილებელია ბარათის უფლებამოსილი მფლობელი დარწმუნდეს მერჩანტის ვებგვერდის და დაცულობაში, რა მიზნითაც როგორც მინიმუმ აუცილებელია გადაამოწმოს ვებგვერდზე ლოგოს „Verified by VISA" ან „MasterCard SecureCode"-ის არსებობა ;

4.9.5 კლიენტი პასუხისმგებელია ვერიფიკაციის ერთჯერადი სმს კოდის ან/და ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გამოყენებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფაზე.

4.9.6 კლიენტის ან/და საკუთარი ინტერესების დასაცავად, ბანკს შეუძლია შეაჩეროს, შეზღუდოს ან შეწყვიტოს 3D უსაფრთხოების სერვისი. რის შესახებაც ბანკი პირველი შესაძლებლობისთანავე შეტყობინებას გაუგზავნის კლიენტს.

4.10 უკონტაქტო ბარათი

4.10.1 უკონტაქტო ბარათი წარმოადგენს ჩიპიანი ბარათის ნაირსახეობას, რომელიც კლიენტს აძლევს საშუალებას ბანკის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, უკონტაქტოდ ანუ ბარათით საგადახდო ოპერაციის შესრულებისას პინ კოდით გარეშე, აწარმოოს ოპერაციები სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ მომსახურების ობიექტებში.

4.10.2 უკონტაქტო ბარათით გადახდა წარმოებს პინ-კოდის გარეშე, რაც ითვლება გადახდის ავტორიზაციად. კლიენტის განსაკუთრებულ პაუსიხმგებლობას წარმოადგენს მესამე პირების მხრიდან უკონტაქტო ბარათზე ფიზიკური კონტაქტის რისკის აცილება, არაავტორიზებული გადახდების გამოსარიცხად.

4.10.3 უკონტაქტო ბარათის მომსახურებაზე, ვრცელდება მე-4 მუხლის ზემოთ მოყვანილი პუნქტებით გათვალისწინებული პირობები.

4.11 მობილური გადახდების სისტემა

4.11.1 მობილური გადახდების სისტემთ მომსახურებაზე, თუ ქვემოთ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, გავრცელდება მე-4 მუხლის ზემოთ მოყვანილი პუნქტებით გათვალისწინებული პირობები.

4.11.2 კლიენტი უფლებამოსილია განახორციელოს მისი ბარათის, ჩართვა/დამატება მის კუთვნილ ტექნოლოგიურ მოწყობილობაში იმ პირობით, რომ: ა) კლიენტი

იდენტიფიცირებული იქნება ბანკის მიერ განსაზღვრული წესით; ბ) არ იარსებებს ნებისმიერი პირობა, რომელიც ბანკის შეხედულებით ზღდუავს ბარათის ტექნოლოგიურ მოწყობილობაში დამატების შესაძლებლობას.

4.11.3 მობილური გადახდების სისტემაში ბარათის/დამატებითი ბარათის ჩართვა ან/და ჩართული ბარათის მობილური გადახდების სისტემიდან წაშლა შესაძლებელია განხორციელდეს კლიენტის მიერ მობილური გადახდების სისტემის მიერ განსაზღვრული პირობებით, წინამდებარე პირობების გათვალისწინებით. მათ შორის კლიენტს შესაძლოა მოეთხოვოს ვერიფიკაციის პროცესის გავლა, ბანკის მიერ დადგენილი წესით.

4.11.4 მას შემდეგ რაც კლიენტი განახორციელებს მობილური გადახდების სისტემაში ბარათის დამატებას/ჩართვას იგი უფლებამოსილი იქნება მობილური გადახდების სისტემის საშუალებით განახორციელოს გადახდის ოპერაციები მის საბარათე ანგარიშზე. მობილური გადახდების სისტემაში ჩართული ბარათით/დამატებითი ბარათით გადახდების განხორციელება შესაძლებელია: ა) ტექნოლოგიურიმოწყობილობის საშუალებით უკონტაქტო გადახდის ტერმინალებზე განთავსებით ან აპლიკაციების და ვებგვერდების საშუალებით სადაც გამოსახულია მობილური გადახდების სიტემის ნიშანი.

4.11.5 კლიენტი ვალდებულია მობილური გადახდების სისტემით გადახდის ოპერაციის შესრულებამდე მოახდინოს აუთენტიფიკაცია მობილური გადახდების სისტემის წესების შესაბამისად. რომელიც გულისხმობს პასკოდის, თითის ანაბეჭდების, სახის ამოცნობის ან სხვა ახალი ტექნოლოგიის სახით, რომელსაც სთავაზობს მობილური გადახდების სისტემა იდენტიფიკაციას. აღნიშნული განიხილება ბარათის გამოყენებით გადახდის ოპერაციის ავტორიზაციად.

4.11.6 მობილური გადახდების სისტემით სერვისით სარგებლობასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მოცემული იქნას ბანკის ან შესბამისი მობილური გადახდების სისტემის ვებ გვერდზე .

4.11.7 ბარათის მობილური გადახდების სისტემაში ჩართვის/დამატების შემდგომ კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ: ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელი იყოს მხოლოდ ბარათის მფლობელის აუტენტიფიკაციის მეთოდებით; მობილური გადახდების სისტება და ტექნოლოგიური მოწყობილობა ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ ბარათის მფლობელის მიერ; ტექნოლოგიური მოწყობილობა და პასკოდი შეინახოს ამ მუხლით განსაზღვრული ბარათის პინ კოდის/მონაცემების თანაბარი უსაფრთოხების სტანდარტებით და წესებით.

4.11.8 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს თუ:

ა) მისი ტექნოლოგიური მოწყობილობა დაიკარგა ან მოპარეს;

ბ) ტექნოლოგიურ მოწყობილობის მომსახურებაში განხორციელდა მოულოდნელი წყვეტა,

გ) ეჭვი აქვს რომ მოხდა მისი ტექნოლოგიურ მოწყობილობის უკანონო გამოყენებას ან ადგილი აქვს არაუფლებამოსილი პირის წვდომას ბარათის მონაცემებზე/პინკოდზე .

4.12 **დამატებითი პირობები ბიზნეს ბარათების შემთხვევაში**

4.12.1 ბიზნეს ბარათის მომსახურებაზე, თუ ქვემოთ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, გავრცელდება მე-4 მუხლის ზემოთ მოყვანილი პუნქტებით გათვალისწინებული პირობები.

4.12.2 ბიზნეს ბარათი გადაეცემა ბარათის მფლობელს .

4.12.3 ბიზნეს ბარათი ბარათი შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ ბარათის მფლობელმა.

4.12.4 ბარათის მფლობელი ანგარიშზე რიცხულ თანხებს განკარგავს მხოლოდ კლიენტის საქმიანობასთან დაკავშირებული მიზნების შესაბამისად.

4.12.5 კლიენტი ვალდებულია გააცნოს ბარათის მფლობელს წინამდებარე პირობები.

4.13 Visa B2B Connect

4.13.1 Visa B2B Connect-ის მომსახურებაზე, თუ ქვემოთ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, გავრცელდება მე-4 მუხლის ზემოთ მოყვანილი პუნქტებით გათვალისწინებული პირობები.

4.13.2 Visa B2B -ის Connect-ის მომსახურებაზე ასევე ვრცელდება Visa B2B Connect-ის მომსახურების წესები და პირობები. შესაბამისად ამ მომსახურებით სარგებლობით კლიენტი ეთანხმება Visa B2B - Connect-ის მომსახურების წესებს და პირობებს, მათ შორის და არა მხოლოდ:

ა) კლიენტმა არ უნდა ისარგებლოს Visa B2B -ის Connect-ის მომსახურებით მესამე პირების მაგივრად;

ბ) კლიენტი ვალდებულია დაიცვას Visa B2B -ის Connect-ის მომსახურების წესები საგადახდო სისტემის კუთვნილ სავაჭრო ნიშნებთან, მის მიერ დადგენილ რისკ მენეჯმენტთან და ტრანზაქციების შესრულებასთან დაკავშირებით;

გ) ყველა ოპერაცია შესაბამისი უნდა იყოს Visa B2B -ის Connect-ის მომსახურების წესებთან და შესაბამის კანონმდებლობასთან;

დ)კლიენტმა არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება Visa B2B -ის Connect-ის მომსახურების გამოყენებით, რომელიც არ არის ნებადართული ბანკის ან/და საგადახდო სისტემის მიერ.

4.13.3 კლიენტს არ აქვს უფლება გამოიყენოს საგადახდო სისტემის ნიშნები მისი თანხმობის გარეშე.

4.13.4 კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, შეასრულოს კლიენტის მიერ გაცემული ყველა ელექტრონული მითითება/დავალება Visa B2B Connect -ით გადარიცხვებით მომსახურების მეშვეობით.

4.13.5 კლიენტი პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი აძლევს ბანკს Visa B2B Connect -ით გადახდის პროცესში. მათ შორის პასუხისმგებელია დავალების შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომასა ან/და დავალებაზე, რომელიც განხორციელებული იქნა მესამე პირის მიერ.

4.13.6 კლიენტი პასუხისმგებელი იქნება ნებისმიერ ოპერაციის ფინანსურ შედეგებზე, რომელსაც იგი განახორციელებს Visa B2B Connect -ით სარგებლობის შედეგად. კლიენტი დაიცავს და უზრუნველყოფს ბანკს და საგადახდო სისტემას საგადახდო სისტემის ნებისმიერი საჩივრის და პასუხისმგებლობისგან, რაც უკავშირდება

კლიენტის მიერ ინცირებული დავალების მიღებას და შესრულებას საგადახდო სისტემის მიერ.

4.13.7 ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა Visa B2B Connect -ით მომსახურებით კლიენტის უზრუნველყოფა ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მათ შორის გადარიცხვებით მომსახურების შეფერხებისას სისტემის განახლების ან/და გაუმჯობესებას, ასევე მომსახურების შეფერხებას თანხის მიმღები ბარათის მომსახურე ბანკის მიზეზით.

4.13.8 კლიენტის ან/და საკუთარი ინტერესების დასაცავად, ბანკს შეუძლია შეაჩეროს ან შეზღუდოს კლიენტის მიერ Visa B2B Connect -ით მომსახურებით სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება.

4.13.9 ბანკის მხრიდან არ ჩაითვლება ვალდებულების დარღვევად და იგი არ იქნება პასუხისმგებელი დამდგარ შედეგზე, როდესაც:

ა) Visa B2B Connect -ით მომსახურების (ან მისი ნაწილის) განხორციელება შეუძლებელია ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო;

ბ) კლიენტის უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, წვდომის კოდები) არაავტორიზებულად იქნა გამოყენებული;

გ) ბანკს არ მიუღია კლიენტის მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი.

4.13.10 ბანკს ან/და Visa B2B Connect საგადახდო სისტემას შეუძლია ნებისმიერ დროს უარი თქვას ოპერაციის შესრულებაზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ის მიიჩნევს, რომ ოპერაციის შესრულება ეწინააღმდეგება Visa B2B Connect მომსახურების წესებს;

ბ) თუ ის მიიჩნევს, რომ კლიენტის მიერ დარღვეულია ოპერაციის ლიმიტები ან და მისი განცხადებები და გარანტიები;

გ) ნებისმიერი სხვა მიზეზით, საგადახდო სისტემის საკუთარი დისკრეციით.

4.13.11 მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია:

ა) შეწყვიტოს საგადახდო სისტემის კუთვნილი ნიშნებით სარგებლობა ან ნებისმიერი ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, რომ თითქოს კლიენტი სარგებლობს Visa B2B Connect -ით მომსახურებით;

ბ) შეასრულოს მომსახურების შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები, იმ ოპერაციებზე, რომელიც ინიცირებულია მომსახურების შეწყვეტამდე;

გ) დაუყოვნებლივ შეწყვიტოს გამოყენება და გაანადგუროს ყველა ბეჭდვითი მასალა Visa B2B Connect -ით გადარიცხვებით მომსახურების მითითებით;

დ) დაეხმაროს საგადახდო სისტემას განახორციელოს ყველა საჭირო და აუცილებელი ცვლილება, შესაბამის ჩანაწერებში, იმასთან დაკავშირებით რომ კლიენტს აღარ შეუძლია საგადახდო სისტემის ნიშნებით ან/და Visa B2B Connect -ით გადარიცხვებით მომსახურებით სარგებლობა;

ე) განაგრძოს ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით.

4.13.12 ბანკი ან და/საგადახდო სისტემა არ იქნებიან პასუხისმგებლები კლიენტის წინაშე Visa B2B Connect -ით გადახდის სისტემით შესრულებულ ოპერაციასთან დაკავშირებით და აღნიშნულიდან გამომდინარე დამდგარ ნებისმიერ ზიანზე, მათ შორის მიუღებელ შემოსავალზე .

4.13.13 კლიენტი ვალდებულია მისცეს ბანკს შესაძლებლობა, შეამოწმოს მისი შესაბამისობა Visa B2B Connect მომსახურების წესებთან, მათ შორის მოამზადოს და მიაწოდოს ანგარიშები ბანკს/საგადახდო სისტემას აღნიშნულთან დაკავშირებით.

4.13.14 თუ საგადახდო სისტემა მიიჩნევს, რომ კლიენტი არ არის შესაბამისი ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფანსების წინააღმდეგ Visa B2B Connect მომსახურების წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, მას შეუძლია :

ა) მოითხოვოს კლიენტის მიერ დამატებითი პოლიტიკების, პროცედურების ან კონტროლების დანერგვა;

ბ) შეაჩეროს/შეწყვიტოს Visa B2B Connect მომსახურება,

გ) მოითხოვოს შეუსაბამობის ანალიზი;

დ) განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელსაც ის საკუთარი დისკრეციით მიიჩნევს მართებულად.

4.13.15 კლიენტი ვალდებულია მიიღოს სათანადო ადმინისტრაციული, ფიზიკური და ტექნიკური ზომები საგადახდო სისტემის კუთვნილი ან/და Visa B2B Connect მომსახურებასთან ასევე ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის დასაცავად, რათა გამორიცხული იყოს აღნიშნულ ინფორმაციაზე არაავტორიზებული წვდომა ან გამჟღავნება. კლიენტი ვალდებულია დუყოვნებლივ (არაუგვიანეს აღმოჩენიდან 24 საათისა) აცნობოს ბანკს/საგადახდო სისტემას თუ მოხდა ან კლიენტს ეჭვი აქვს, რომ მოხდა ინფორმაციის გამჟღავნება. ამგვარი შეტყობინება უნდა მოიცავდეს: კლიენტის დასახელებას, დარღვევის დეტალებს, საკონტაქტო პირის ინფორმაციას.

5 ინტერნეტბანკი

5.1.1 მომსახურება

5.1.2 ინტერნეტბანკით მომსახურება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით ბანკის ინტერნეტბანკის გვერდის (www.ebanking.ge) საშუალებით:

ა) საბანკო ინფორმაციის მიღება და ბანკისთვის ინფორმაციის მიწოდება;

ბ) სხვადასხვა მომსახურებით/პროდუქტით სარგებლობისთვის რეგისტრაცია;

გ) ინფორმაციის მიღება პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ;

დ) სხვადასხვა საბანკო ოპერაციების განხორცილება;

5.1.3 ინტერნეტბანკით მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს სათანადო განაცხადით;

5.1.4 კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ინტერნეტბანკის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა და შესაბამისად ინტერნეტბანკის საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი გადახდის ოპერაცია განიხილება ავტორიზებულ ოპერაციად.;

5.1.5 ინტერნეტ ბანკის საშუალებით მიღებული დავალება/განაცხადის დამუშავებას შეიძლება დაჭირდეს გარკვეული დრო, რიგ შემთხვევებში კი განხორციელდეს მათი ბანკისთვის წარდგენიდან 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში.

5.1.6 თუ წინამდებარე მუხლით სხვაგვარად არ არის დარეგულირებული, ინტერნეტბანკის მომსახურებაზე გავრცელდება მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობები.

5.2 საიდენტიფიკაციო მონაცემები

5.2.1 ინტერნეტბანკის მომსახურებაზე ბანკის თანხმობის შემთხვევაში, ბანკი კლიენტს გადასცემს ინტერნეტბანკით სარგებლობისათვის საჭირო მონაცემებს, რომელთა გამოყენებითაც ხდება კლიენტის იდენტიფიკაცია ბანკის ინტერნეტბანკის გვერდზე შესვლის დროს;

5.2.2 კლიენტის ინფორმაციისა და ოპერაციების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ბანკი უფლებამოსილია, შექმნას დამატებითი მექანიზმები კლიენტის იდენტიფიკაციისთვის, მათ შორის სხვადასხვა მოწყობილობების და სპეციალური კოდების გამოყენებით;

5.2.3 კლიენტის მიერ ინტერნეტბანკით სარგებლობისას მისი იდენტიფიცირება ხდება შესაბამისი ელექტრონული პროცედურის გავლის შემდეგ. იდენტიფიცირების შემდეგ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება ჩაითვლება კლიენტის მიერ სათანადოდ დადასტურებულად;

5.2.4 საიდენტიფიკაციო მონაცემების/მოწყობილობის/კოდის დაკარგვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიმართოს ბანკს განცხადებით, ახალი საიდენტიფიკაციო მონაცემების მინიჭების შესახებ;

5.2.5 ბანკი, კლიენტის მიერ საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვის თაობაზე შეტყობინების საფუძველზე, უზრუნველყოფს კლიენტის ანგარიშებზე ინტერნეტბანკით მომსახურების შეჩერებას, კლიენტის მხრიდან ახალი განკარგულების მიღებამდე;

5.2.6 კლიენტი ვალდებულია, უსაფრთხოდ შეინახოს ინტერნეტბანკით სარგებლობისათვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, საიდენტიფიკაციო მონაცემები და ბანკის მიერ მისთვის გადაცემული/მიწოდებული მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5.2.7 კლიენტი ვალდებულია, ინტერნეტბანკში პირველად შესვლისთანავე, ან ბანკის მოთხოვნისთანავე შეცვალოს პაროლი, არ გაანდოს პაროლი მესამე პირს, არ შეინახოს ეს მონაცემები კომპიუტერის ან სხვა მსგავსი ელექტრონული მოწყობილობის მეხსიერებაში.

5.3 მობაილბანკი

5.3.1 მობაილბანკით მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად, მის კუთვნილ მობილურ ტელეფონში ჩაწერილი პროგრამული მოდულის/აპლიკაციის გამოყენებით, ინტერნეტბანკის მომსახურებით სარგებლობას;

5.3.2 მობაილბანკით სარგებლობისთვის, კლიენტს უნდა ჰქონდეს გააქტიურებული ინტერნეტბანკი და გააჩნდეს სათანადო ოპერაციულ სისტემაზე (Android, IOS ან/და შემდგომში ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ოპერაციული სისტემა) მომუშავე მობილური ტელეფონი (შემდგომში "ტელეფონი");

5.3.3 მობაილბანკით მომსახურებაზე ვრცელდება ამ მუხლის 5.1 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული პირობები.

6 SMS სერვისი

6.1 ბანკი SMS სერვისის საშუალებით, კლიენტის მიერ განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით აცნობებს კლიენტს ინფორმაციას მის ანგარიშზე განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესახებ;

6.2 SMS სერვისის გასააქტიურებლად კლიენტი ვალდებულია, მიმართოს ბანკს სათანადო განაცხადით;

6.3 SMS სერვისით სარგებლობისათვის, კლიენტი ვალდებულია, ბანკს გადაუხადოს ბანკის მიერ დადგენილი საკომისიო;

6.4 კლიენტი ვალდებულია, არ დაუშვას მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის ან/და სიმ-ბარათის მოხვედრა მესამე პირის განკარგულებაში;

6.5 კლიენტი ვალდებულია, მობილური ტელეფონის, სიმ-ბარათის ან/და ნომრის შეცვლის ან/და დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ცხელი ხაზის საშუალებით: ტელ (+995 32) 255 00 00 00 ან/და მობილური ტელეფონით დაკავშირების შემთხვევაში ასევე ტელ *5050 ან წინამდებარე პირობებით განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა ფორმით. ბანკი ამგვარი შეტყობინების საფუძველზე, უზრუნველყოფს SMS სერვისის შეჩერებას, მომსახურების აღდგენის თაობაზე კლიენტის განცხადების მიღებამდე. კლიენტის მიერ ბანკისთვის ზეპირი (სატელეფონო) განცხადების წარდგენის შემთხვევაში, კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება კოდური სიტყვის ან ბანკის მიერ განსაზღვრული იდენტიფიკაციის სხვა საშუალებით;

6.6 კლიენტის მიერ განაცხადში დაფიქსირებული ნომრის შეცვლის, გასხვისების, მობილური ტელეფონის ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმიერი მსგავსი შემთხვევის შედეგად, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებელია კლიენტი;

6.7 ბანკი უფლებამოსილია შესთავაზოს კლიენტს, კლიენტის ხელმოწერის ნაცვლად ოპერაციის, დავალების ან/და ბანკის მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) SMS კოდის საშუალებით დადასტურება. აღნიშნულ შემთხვევაში ბანკი, კლიენტს გაუგზავნის შესაბამისი ოპერაციის/გრიგების შესახებ მონაცემს (მონაცმების მოცულობა განისაზღვრება ბანკის შეხედულებისამებრ) და SMS კოდს; კლიენტის მიერ SMS კოდის ბანკისათვის მიწოდებით კლიენტი ადასტურებს რომ იგი სრულად გაეცნო შესაბამის ოპერაციას, დავალებას ან/და გარიგებას ეთანხმება მას რაც უთანაბრდება კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას;

6.8 თუ წინამდებარე მუხლით სხვაგვარად არ არის დარეგულირებული, SMS სერვისზე გავრცელდება მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობები.

7. ავტომატური გადარიცხვები

7.1 ავტომატური გადარიცხვებით მომსახურება გულისხმობს ბანკის მიერ:

ა) კლიენტის ანგარიშიდან განაცხადში მითითებული თანხის განსაზღვრული პერიოდულობით გადახდას („მუდმივი საგადახდო დავალება“);

ბ) კომუნალური მომსახურების პროვაიდერისგან კლიენტის დავალიანების შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კლიენტის ანგარიშიდან განაცხადში მითითებული თანხის განსაზღვრული პერიოდულობით გადახდას („ავტომატური გადახდა“).

7.2 ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების მისაღებად კლიენტი ვალდებულია, მიმართოს ბანკს შესაბამისი განაცხადით;

7.3 ატომატური გადარიცხვა ხორციელდება კლიენტის მიერ წინასწარ არჩეული პრიოდულობით ბანკის მიერ დადგენილი განაცხადის ფორმაში აღნიშნული ინფორმაციის შესაბამისად;

7.4 კლიენტი უფლებამოსილია, შეიტანოს საჭირო ცვლილებები თავდაპირველ განაცხადში დაფიქსირებულ მონაცემებში ან უარი განაცხადოს მომსახურებით სარგებლობაზე;

7.5 ბანკი კლიენტის ანგარიშზე თანხის არსებობისას/ხელმისაწვდომობისას განახორციელებს ავტომატურ გადარიცხვას კლიენტის მიერ განაცხადში მითითებულ დღეს;

7.6 კლიენტი ვალდებულია, ანგარიშზე ყოველთვის იქონიოს ავტომატური გადარიცხვისათვის საკმარისი ნაშთი და გადაიხადოს მომსახურების საკომისიო გადარიცხვის მომენტისათვის ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად;

7.7 ბანკი უფლებამოსილია არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა:

ა) კლიენტის ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობისას;

ბ) კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

გ) ბანკის წინაშე კლიენტის დავალიანების არსებობისას;

7.8 მუდმივი საგადახდო დავალებისას:

7.8.1 ყოველდღიური დავალების შემთხვევაში - დავალების შესრულების მცდელობა განხორციელდება დღეში ერთხელ. ერთი თვის განმავლობაში.

7.8.2 ყოველკვირეული დავალების შემთხვევაში - ოპერაციის შესრულების მცდელობა განხორციელდება დღეში ერთხელ. შვიდი დღის განმავლობაში.

7.8.3 ყოველთვიური დავალების შემთხვევაში - ოპერაციის შესრულების მცდელობა განხორციელდება დღეში ერთხელ, შესრულების დღიდან შვიდი დღის განმავლობაში.

7.8.4 ყოველკვარტალური დავალების შემთხვევაში - ოპერაციის შესრულების მცდელობა განხორციელდება დღეში ერთხელ, შესრულების დღიდან შვიდი დღის განმავლობაში.

7.8.5 ყოველწლიური დავალების შემთხვევაში - ოპერაციის შესრულების მცდელობა განხორციელდება დღეში ერთხელ, შესრულების დღიდან შვიდი დღის განმავლობაში. ზედიზედ სამი წლის განმავლობაში წარუმატებელი მცდელობების განმეორების შემთხვევაში.

7.8.6 ინდივიდუალური დავალების შემთხვევაში - ოპერაციის შესრულების მცდელობა განხორციელდება დღეში ერთხელ შესრულების დღიდან შვიდი დღის განმავლობაში.

7.9 წინა პუქტით გათვალისწინებული მცდელობებისას ანგარიშზე საკმარისი ნაშთის არარსებობისას, დავალება არ შესრულდება.

7.10 ავტომატური გადახდის შემთხვევაში ანგარიშზე საკმარისი ნაშთის არარსებობისას, შემდეგი 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში ანგარიშზე დავალების შესრულებისთვის საკმარისი თანხის არსებობისას, ბანკი განახორციელებს ავტომატურ გადარიცხვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავალება არ შესრულდება.

7.11 ავტომატური გადარიცხვა არ შესრულდება, თუ მისი გადარიცხვის შემდეგ ანგარიშზე დარჩენილი ნაშთი არ იქნება საკმარისი ავტომატური გადარიცხვის შესრულებისათვის ბანკის მიერ დაწესებული საკომისიოს გადასახდელად. ავტომატური გადარიცხვის ნაწილობრივ შესრულება არ მოხდება;

7.12 ავტომატური გადარიცხვების შესასრულებლად, ბანკის მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქაღალდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა;

7.13 თუ წინამდებარე მუხლით სხვაგვარად არ არის დარეგულირებული, ავტომატურ გადარიცხვებზე გავრცელდება მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობები.

8 ვალუტის გაცვლა

8.1 ბანკი კლიენტს გაუწევს ვალუტის გაცვლის და ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საბროკერო მომსახურებას;

8.2 ვალუტის გაცვლის ოპერაციაში იგულისხმება კლიენტის ერთ-ერთ სავალუტო ანგარიშზე არსებული თანხების გაყიდვა მეორის სანაცვლოდ. ვალუტის გაცვლით ოპერაციას ბანკი შეასრულებს კლიენტის წერილობითი ან ინტერნეტბანკის საშუალებით წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად, ბანკში დადგენილი კომერციული ან მხარეებს შორის შეთანხმებული კურსით;

8.3 კლიენტის განაცხადი შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას როგორც ქაღალდის, ისე ინტერნეტბანკის საშუალებით. ინტერნეტბანკის საშუალებით წარმოდგენილ განაცხადს აქვს ქაღალდზე დაბეჭდილი და კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქაღალდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა;

8.4 ბანკი იღებს ვალდებულებას ჩაატაროს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია კლიენტის ანგარიშზე ამგვარი ოპერაციის საწარმოებლად საჭირო თანხის (ბანკის საკომისიოს გათვალისწინებით) არსებობის შემთხვევაში და შეძენილი თანხა ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესრულებისთანავე ჩარიცხოს კლიენტის ანგარიშზე;

8.5 ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ ვალუტის გაცვლითი ოპერაციის წარმოების შესახებ განაცხადის მიღების მომენტიდან, ბლოკირება გაუკეთოს კლიენტის ანგარიშზე თანხებს, განაცხადში არსებული კლიენტის მიერ გასაყიდი თანხის ფარგლებში ოპერაციის დასრულებამდე ან ბანკის მიერ ოპერაციის შეუსრულებლობისას, უარის თქმამდე;

8.6 ბანკი არ იღებს ვალდებულებას ვალუტის გაცვლითი ოპერაციის წარმოების შესახებ განაცხადის შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ განაცხადში მითითებულ კურსში ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესრულების მოთხოვნა არ შეესაბამება ბანკის მიერ დადგენილი კურსს;

8.7 კლიენტი ვალდებულია, იქონიოს ანგარიშზე საკმარისი ნაშთი დავალების შესასრულებლად და გადაიხადოს აღნიშნული ოპერაციებისათვის დადგენილი საკომისიო;

8.8 კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული დავალება/განაცხადი არ ექვემდებარება გაუქმებას ბანკის თანხმობის გარეშე.

9 სატელეფონო მომსახურება

9.1 სატელეფონო მომსახურება გულისხმობს ფიიზკური პირი კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად სატელეფონო კავშირის გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული:

ა) საბანკო ინფორმაციის მიღებას;

ბ) სხვადასხვა საბანკო სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციას და ცვლილებების შეტანას რეგისტრირებულ მონაცემებში;

გ) ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას;

დ) საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლას;

ე) სხვადასხვა საბანკო პროდუქტის მიღების ან/და გაუქმების სურვილის დაფიქსირებას (ბანკისთვის განაცხადის წარდგენას);

9.2 სატელეფონო მომსახურების მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა მიმართოს განაცხადით;

9.3 კლიენტის იდენტიფიკაცია

9.3.1 კლიენტის იდენტიფიკაციისთვის გამოიყენება კოდური სიტყვა ან ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა იდენტიფიკაციის მეთოდი;

9.3.2 ბანკი უფლებამოსილია, უარი უთხრას სატელეფონო მომსახურებაზე პირს, რომელიც არ ან ვერ გაივლის იდენტიფიცირების პროცედურას;

9.3.3 იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ ინფორმაციის მიღებას ან ოპერაციის განხორციელებას ცდილობს არა კლიენტი, არამედ მესამე პირი, ბანკს უფლება აქვს, უარი თქვას სატელეფონო დავალებების შესრულებაზე;

9.3.4 კლიენტი ბანკს ავალებს და უფლებას აძლევს, ბანკთან ტელეფონით დაკავშირებისას, იდენტიფიკაციის შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ:

ა) მიაწოდოს მას ინფორმაცია მისი ანგარიშების შესახებ;

ბ) მისი დავალებით შეასრულოს ბანკის მიერ სატელეფონო მომსახურების ფარგლებში დაშვებული ოპერაციები;

გ) დააფიქსიროს, ჩაიწეროს ნებისმიერი სატელეფონო საუბარი ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში, გამოიყენოს მტკიცებულებად.

I I I ნაწილი

10 ტარიფები, გადახდები

10.1 კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს საკომისიო წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურებით სარგებლობისთვის და აღნიშნულის ფარგლებში საბანკო ოპერაციების წარმოებისთვის აღნიშნული მომენტისთვის ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების და გადახდის წესების შესაბამისად, რომელიც მოცემულია

ბანკის ვებ-გვერდზე ან ზოგადად მოქმედებს ბანკში საკომისიოს დარიცხვის მომენტისათვის და ეცნობება კლიენტს კონკრეტული მომსახურების მიღებისას. ასევე, თუ გადახდის ოპერაციის (ასევე მასში ცვლილების) ან ოპერაციის გაუქმების, ან თანხის უკან დაბრუნების განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, შესაძლებელია უცხოური შუამავლის მიერ დაწესდეს დამატებითი საკომისიო, რომლის გადახდაც უნდა უზრუნველყოს კლიენტმა.

10.2 თუ კლიენტი სარგებლობს ინდივიდიუალურად შეთანხმებული ტარიფ(ებ)ით, მისი ანგარიშისთვის ამ პირობებით განსაზღვრული „უმოძრაო ანგარიშის„ სტატუსის მინიჭებისთანავე, კლიენტის მომსახურებაზე გავრცელდება საბანკო ოპერაციების წარმოებისთვის აღნიშნული მომენტისთვის ბანკის მიერ დადგენილი ტარიფები რომელიც მოცემულია ბანკის ვებ-გვერდზე ან ზოგადად მოქმედებს ბანკში საკომისიოს დარიცხვის მომენტისათვის.

10.3 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს საკომისიოს მოქმედი ტარიფები და მათი გადახდის წესები. კლიენტს აღნიშნულის შესახებ ეცნობება წინასწარ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით;

10.4 ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს მომსახურების საკომისიო. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ (კლიენტის თანხმობის გარეშე) ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშიდან.

10.5 ბანკის მიმართ არსებული კლიენტის დავალიანებისას თანხები იფარება ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით, ამასთან ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში თავად განსაზღვროს / შეცვალოს კლიენტის მიერ ბანკის მიმართ არსებული დავალიანების ქვემოთმოცმული დაფარვის თანმიმდევრობის წესი:

10.5.1 საკრედიტო დავალიანება შესაბამისი საკრედიტო პროდუქტების ხელშეკრულების პირობების მიხედვით;

10.5.2 არასანქცირებული გადახარჯვის საკომისიო (არსებობის შემთხვევაში);;

10.5.3 სხვა ნებისმიერი დავალიანება (არსებობის შემთხვევაში);

10.6 კლიენტის და რომელიმე მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია შეუჩეროს ან შეუწყვიტოს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურება;

10.7 ამ პირობებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტს არ დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი მომსახურების საკომისიო.

11 პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობის შეზღუდვა

11.1 მხარეები ვალდებულნი არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და პირობებით დადგენილი წესით;

11.2 კლიენტი პასუხისმგებელია მოპარული ან დაკარგული საგადახდო ინსტრუმენტით ან მისი უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენებით გამოწვეული, საქართველოს

ტერიტორიაზე განხორციელებული არაავტორიზებული გადახდის ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არა უმეტეს 100 ლარისა. ამასთან, ზემოაღნიშნულის მიუხედავად კლიენტი სრული მოცულობით აგებს პასუხს არაავტორიზებულ გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია მისი დანაშაულებრივი ქმედებით, ასევე მის მიერ პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების განზრახ ან დაუდევრობით შეუსრულებლობით.

11.3 ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც უკავშირდება(გამომდინარეობს) პირობებით გათვალისწინებულ განსაზღვრულ საბანკო მომსახურებას/ვალდებულების შესრულებლას; ბანკი სრულად თავისუფლდება ბანკის ბრალეული ქმედების გარეშე გამოწვეულ შედეგებზე კლიენტის მიმართ ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან .

11.4 ბანკი არ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რომელიც გამოწვეულია:

11.4.1 კლიენტის დავალებაში ან სხვა რომელიმე საბუთში დაშვებული შეცდომით;

11.4.2 მიმღები ან/და შუამავალი ბანკის ნებისმიერი ქმედებით;

11.4.3 მიმღების ან/და შუამავალი ბანკის სახელმწიფოში/სახელმწიფოსთვის დაწესებული ემბარგოს/აკრძალვის შედეგად;

11.4.4 შუამავალი ბანკის მიერ დავალების შესრულებაზე უარის თქმის ან დაყოვნების შედეგად;

11.4.5 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის ან/და სხვა კანონიერი მიზნით თანხის დაკავების/ოპერაციის შეჩერების შედეგად;

11.4.6 კლიენტის დავალების შესაბამისად ოპერაციის განხორციელების შედეგად;

11.4.7 კლიენტის მიერ განაცხადის ან/და განცხადების არასწორი ან არასრულყოფილი შევსების ან/და ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის უსწორობის ან/და უზუსტობის შედეგად;

11.4.8 კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ტელეფონის აპარატის ან/და სხვა მოწყობილობისა თუ აღჭურვილობის (მათი რომელიმე ნაწილის ან/და აქსესუარის) ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართავობის შედეგად;

11.4.9 ტექნიკური დეფექტის, სისტემის გადატვირთვის, ელექტრონული გადაცემის ხარვეზის ან ბანკის ელექტრონულ სისტემებში და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევის შედეგად;

11.4.10 ტელეკომუნიკაციების ოპერატორის, ინტერნეტ-პროვაიდერის ან/და ნებისმიერი სხვა პირის ქმედების შედეგად, რომლის მომსახურებაც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება ბანკის მიერ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული რომელიმე მომსახურების განხორციელებას,

11.4.11 კლიენტის მიერ ამ პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად;

11.4.12 კლიენტის მიერ ბანკის რეკომენდაციების/ინსტრუქციების გაუთვალისწინებლობის შედეგად;

11.5 გარდა წინა პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კლიენტის მიერ ბარათით ოპერაციის განხორციელებისას ბანკი ასევე არ არის პასუხისმგებელი:

11.5.1 დაგვიანებულ, არასწორ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ გადახდის ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საერთაშორისო საგადახდო სისტემის ხარვეზის ან ტექნიკური მიზეზების გამო;

11.5.2 ბარათის მეშვეობით ჩატარებული გადახდის ოპერაციის კლიენტის ანგარიშზე ფაქტობრივად ასახვის ვადებზე, თუ აღნიშნული ოპერაცია ჩატარდა მოწყობილობაზე, რომელიც არ ეკუთვნის ბანკს;

11.5.3 იმ ზარალზე, რომელიც შესაძლოა, მიადგეს კლიენტს ბარათით ჩატარებული გადახდის ოპერაციის თარიღსა და აღნიშნული ოპერაციის კლიენტის ანგარიშზე ასახვის თარიღს შორის სავალუტო გაცვლით კურსებს შორის არსებული სხვაობის გამო;

11.5.4 ბანკის ქსელის ფარგლებს გარეთ გადახდის ოპერაციების საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ გადამუშავების შედეგად წარმოქმნილ საკომისიოებზე და კურსთაშორის სხვაობაზე;

11.5.5 დამდგარი ზიანისათვის, თუ ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ანგარიში, კოდური სიტყვა, პინ კოდი ან სხვა ინფორმაცია ბარათ(ებ)ისა და მისი მფლობელ(ებ)ის შესახებ ცნობილი გახდა მესამე პირ(ებ)ისათვის;

11.5.6 ბარათის არასანქცირებული გამოყენებისათვის, თუ ეს კლიენტის/ბარათის მფლობელის მიზეზით არის გამოწვეული;

11.6 ბარათის დაკარგვის შემთხვევაში ბანკი არ არის პასუხისმგებელი:

11.6.1 ბარათის დაკარგვის შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებამდე და საერთაშორისო სტოპ სიაში მოთავსების მიზნით კლიენტის მიერ საკომისიოს გადახდამდე ბარათით განხორციელებულ უკანონო გადახდის ოპერაციაზე;

11.6.2 ბარათით განხორციელებულ ნებისმიერ უკანონო ქმედებაზე;

11.6.3 ცრუ შეტყობინების შედეგად ბარათის ბლოკირებაზე.

11.7 კლიენტი პასუხისმგებელია ყველა ავტორიზებულ დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს იდენტიფიკაციის გავლის შემდეგ. აღნიშნული გულისხმობს კლიენტის პასუხისმგებლობას დავალებაზე ან აღნიშნული დავალების განხორციელებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო კლიენტის ან/და მესამე პირის მიერ. კლიენტი პასუხისმგებელია ზიანზე (ზარალზე), ნებისმიერ ქმედებაზე, დანახარჯზე, ვალდებულებაზე, სანქციაზე, რომელიც შეიძლება დაეკისროს ბანკს კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

11.8 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, თუ ეს გარემოებები გამოწვეულია დაუძლეველი (გადაულახავი) ძალის პირდაპირი ზემოქმედებით, მათ შორის და არა მხოლოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტით ან ქმედებით და სხვა (ფორს-მაჟორული გარემოებები). ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ამის შესახებ მეორე მხარეს. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

12 კომუნიკაცია

12.1 თუ ამ პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, კლიენტმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელოს წერილობით. ასეთი შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუკი ხელმოწერილია კლიენტის მიერ და ასეთი ჩაბარდა ბანკს;

12.2 ბანკი უფლებამოსილია შეტყობინება გაუგზავნოს კლიენტს ერთ-ერთ ჩამოთვლილი საშუალების გამოყენებით:

- წერილობით - ბანკისთვის კლიენტის მიერ მიწოდებულ ან სხვა ცნობილ მისამართზე წერილის გაგზავნის გზით. ამასთან ბანკი უფლებამოსილია მოიძიოს კლიენტის ალტერნატიული მისამართი (სამოქალაქო / სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული ან სხვა) და გააგზავნოს მოძიებულ მისამართზე შეტყობინება. წერილობით შეტყობინების ჩაბარებისას ბანკი უფლებამოსილია ჩააბაროს შეტყობინება გაგზავნილ მისამართზე მყოფ ნებისმიერ პირს, მიუხედავად შეტყობინების შინაარსისა;
- ელექტრონული ფორმით - ბანკისთვის ცნობილ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან კლიენტის ინტერნეტ ბანკის საშუალებით შეტყობინების გაგზავნის გზით;
- სატელეფონო საშუალებით - კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებულ მობილური ტელეფონის სატელეფონო ნომერზე მოკლეტექსტური შეტყობინების გაგზავნით.
- ბანკის ვებ გვერდზე ან/და ბანკის ფილიალებში/სერვისცენტრებში ინფორმაციის განთავსებით.

12.3 ამ მუხლის მიზნებისთვის შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას, ან შეუძლებელი იქნება შეტყობინების გადაცემა ადრესატის ადგილზე ერთ შემთხვევაზე მეტჯერ არყოფნის გამო;

12.4 ბანკის მიერ კლიენტისათვის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება კლიენტის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

12.5 ბანკის მიერ კლიენტისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინების, ინტერნეტბანკინგის, საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის დღეს, ხოლო ბანკის ვებ-გვერდზე/ფილიალებში/სერვისცენტრებში ინფორმაციის განთავსებისას - ინფორმაციის განთავსების დღეს;

12.6 მხარეთა შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან კომუნიკაცია განახორციელოს კლიენტისთვის მისაღებ სხვა ენაზეც;

12.7 მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ განაცხადით და/ან პირობებით განსაზღვრულ მისამართზე ან სხვა ნებისმიერ მისამართზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით. ყოველი მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჯეროვნად ჩაბარებულად.

13 პერსონალური მონაცემების დამუშავება

13.1 კლიენტი ადასტურებს და ეთანხმება, რომ ბანკი უფლებამოსილია:

13.1.1 კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუზღუდავად მოიპოვოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ნებისმიერი რეესტრიდან ან/და ნებისმიერი სხვა იდენტური ან მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებიდან (კერძო ან საჯარო) ბანკისთვის აუცილებელი პერსონალური მონაცემები;

13.1.1.1 დაამუშაოს კლიენტის შესახებ ყველა ის საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. აღნიშნული ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

13.1.2 დაამუშაოს კლიენტის პერსონალური მონაცემები, ბაკისკლი ფილიალებში, სერვის-ცენტრში ან/და ბანკის პარტნიორი კომპანი(ებ)ის კუთვნილ ობიექტ(ე)ბში, მათ შორის ბანკომატის, თვითმომსახურების ტერმინალის და სხვა ნებისმიერი საშუალებით, ვიდეომონიტორინგის საშუალებით, უსაფრთხოების, მომსახურების გაუმჯობესებისა და იურდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნის მიზნით;

13.1.3 დაამუშაოს კლიენტის პერსონალური მონაცემები, აუდიომონიტორინგის საშუალებით, ბანკის ლეგიტიმური ინტერესების დაკმაყოფილების, მათ შორის, მომსახურების გაუმჯობესებისა და იურდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნის მიზნით. ყოველი სატელეფონო ზარის განხორციელების დაწყებისას ბანკი წინასწარ მოახდენს კლიენტის ინფორმირებას აუდიომონიტორინგის განხორციელების თაობაზე, კერძოდ, რომ მიმდინარეობს ჩაწერა და დადგენილი სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად განუმარტავს კლიენტს, აუდიოჩაწერაზე უარი თქმის უფლებას (გარდა ბანკში დადგენილი პროცედურებით გათვალისწინებული შემთხვევებისა). კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აუდიოჩაწერაზე, რა შემთხვევაშიც, ბანკი წყვეტს სატელეფონო გზით მომსახურებას და სთავაზობს კლიენტს მომსახურების მიღების ალტერნატიულ გზებს: ა) მომსახურების მისაღებად კლიენტს შეუძლია მიმართოს ბანკის ნებისმიერ ფილიალს; ბ) მიმართოს ბანკს ინტერნეტ ან მობაილ ბანკის საშუალებით, გ) ზოგადი ინფორმაციის მისაღებად გამოიყენოს ონლაინ კომუნიკაციის არხები;

13.1.4 დაამუშაოს კლიენტის პერსონალური მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი ვადით ან იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე;

13.1.5 გამოიყენოს ნებისმიერი საკომუნიკაციო არხი ავტომატური ხმოვანი შეტყობინების საშუალებით კლიენტისათვის ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიწოდებისას, მათ შორის ფიქსირებული ტელეფონის ნომერი, იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ ბანკისათვის გადაცემულ განაცხადში მითითებულია ფიქსირებული ტელეფონის ნომერი. ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თუ ავტომატური ხმოვანი შეტყობინების გაგზავნას, მათ შორის ფიქსირებული ტელეფონის ნომრის საშუალებით ინფორმაციის მიწოდებას, მოჰყვა კლიენტის პერსონალური მონაცემების მესამე პირისათვის გამჟღავნება;

13.1.6 კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვითა და ბანკში დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კლიენტის მიერ ერთ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით გადაცემული კლიენტის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს კლიენტის მიერ სხვა ნებისმიერი საბანკო მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში ბანკის ლეგიტიმური ინტერესების განხორციელების მიზნით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამუშავების მიზანი თავსებადია თავდაპირველ მიზანთან;

13.1.7 დააკავშიროს მის ხელთ არსებული ინფორმაცია კლიენტის ანგარიშ(ებ)ის და კლიენტის მიერ გამოყენებული საბანკო მომსახურების შესახებ დამატებითი ბარათის მფლობელების შესახებ ინფორმაციასთან;

13.1.8 დაამუშაოს კლიენტის მიერ მიწოდებული, მესამე პირის ნებისმიერი პერსონალური მონაცემები თუ ბანკისთვის ინფორმაციის გადაცემამდე, კლიენტის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, მოიპოვებული იქნება თანხმობა იმ პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, ვის შესახებაც ბანკს გადასცემს ინფორმაციას;

13.1.9 კლიენტთან დაკავშირებით მიიღოს კლიენტისთვის სამართლებრივი ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგის მქონე გადაწყვეტილება, ავტომატიზებულად, პროფაილინგის საფუძველზე, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

13.1.10 იმ შემთხვევაში თუ ბანკს ჰყავს კლიენტი იურიდიული პირი, რომლის კანონიერი წარმომადგენელია კლიენტი ფიზიკური პირი, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს ფიზიკური პირი კლიენტის პერსონალური მონაცემები, როგორც აღნიშნული იურიდიული პირის წარმომადგენლის მონაცემები. ასეთ, შემთხვევაში, ბანკი ფიზიკური პირი კლიენტის მონაცემებს დაამუშავებს ბანკისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების, ბანკის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის ან/და ზემოაღნიშნული იურიდიული პირისთვის საბანკო მომსახურების გაწევის, ასევე პირდაპირი მარკეტინგული ხასიათის შეთავაზებებისა და საბანკო მომსახურებების შესახებ ინფორმაციის/შეთავაზების მიწოდების მიზნით.

13.2 კლიენტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გამოიხმოს მის მიერ გაცხადებული თანხმობა, იმავე ფორმით რომლითაც განაცხადა თანხმობა.

13.3 ბანკი ვალდებულია, კლიენტის მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება ან აცნობოს კლიენტს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი.

13.4 თანხმობის გახმობის შემთხვევაში, კლიენტს შესაძლოა შეეზღუდოს საბანკო მომსახურეობის სარგებლობა სრულად ან ნაწილობრივ.

13.5 **კლიენტის პერსონალური მონაცემების გადაცემის პირობები**

13.5.1 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დამატებითი, წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე, გადასცეს კლიენტის პერსონალური მონაცემები:

13.5.1.1 საკურიერო კომპანიას, კლიენტისათვის შესაბამისი კორესპონდენციის გაგზავნის/ჩაბარების მიზნით;

13.5.1.2 სამართალდამცავ ორგანოებს ან სხვა პირს, ზარალის თავიდან აცილებისა ან/და ანაზღაურების მიზნით, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების (მათ შორის, დანაშაულის აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების და ა.შ.) შესასრულებლად;

13.5.1.3 ნებისმიერ ადგილობრივ სახელმწიფო ორგანიზაციებს/სამსახურებს, ბანკის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მიზნით;

13.5.1.4 ნებისმიერ უცხო ქვეყნის სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს/სამსახურებს და ნებისმიერ უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ კომპანიას (მათ შორის, კლიენტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა გადაცემულ იქნეს აღნიშნული კომპანიებისთვის კონკრეტული საკომუნიკაციო არხებით, ბანკსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის წარმოების შედეგად), შესაბამის ქვეყანაში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არარსებობისა და შესაძლო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ - კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების ფარგლებში/მიზნით და ბანკის ლეგიტიმური ინტერესების განხორციელების ან/და კლიენტისათვის ნებისმიერი საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით;

13.5.1.5 საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, ბანკის მიერ დაფინანსების მოპოვების მიზნით;

13.5.1.6 ბანკისთვის მომსახურების გამწევ ორგანიზაციებს, ბანკის გარე აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩევლებს, კვლევით ორგანიზაციებს ან მსგავსი ფუნქციის მქონე პირებს, აღნიშნული პირებისგან აუდიტორული, საკონსულტაციო, საშემფასებლო, კვლევითი ან სხვა მსგავსი მომსახურების მიღების მიზნით ან საბანკო მომსახურების გაუმჯობესების კვლევის ჩატარების მიზნით;

13.5.1.7 ნებისმიერ მესამე პირს რომელიც მომსახურებას უწევს ბანკს კლიენტისთვის საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით;

13.5.1.8 ბანკის მიერ აღნიშნული მესამე პირის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, მათ შორის, ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ან/და ანგარიშგების მიზნით;

13.5.1.9 ბანკის მიერ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის ან/და არსებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მათ შორის, კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისას კლიენტის მოძიების ან/და კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის და მონიტორინგის მიზნით;

13.5.1.10 ბანკის სხვა კლიენტებს ან/და მესამე პირებს, კლიენტისათვის ბანკის მიერ ან/და ბანკის სხვა კლიენტის მიერ მომსახურების გაწევის მიზნით, ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმითა და შინაარსით.

13.6 პირდაპირი მარკეტინგი

13.6.1 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია დაამუშაოს (მათ შორის, უფლებამოსილი პირის მეშვეობით) კლიენტის მიერ ბანკისთვის მოწოდებული ან/და საბანკო მომსახურების ფარგლებში (მათ შორის კლიენტის მიერ გადახდის ოპერაციის შესრულებისას) ბანკის მიერ მოპოვებული კლიენტის ნებისმიერი მონაცემი, პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების მიზნებისთვის და დაუკავშირდეს კლიენტს მის მიერ ბანკში დაფიქსირებულ ნებისმიერ საკომუნიკაციო არხის მეშვეობით (მათ შორის ტელეფონზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე და ა.შ.) პირდაპირი მარკეტინგული ხასიათის შეთავაზებებისა და საბანკო მომსახურებების შესახებ ინფორმაციის/შეთავაზების მიწოდების მიზნით. თუ კლიენტის ბანკში დაფიქსირებული საკონტაქტო არხები ნებისმიერი ფორმით გასულია კლიენტის მფლობელობიდან/სარგებლობიდან და აღნიშნულის შესახებ კლიენტს არ განუცხადებია ბანკში, ბანკი არ აგებს პასუხს შეტყობინებების გაგზავნასთან/ზარების განხორციელებასთან დაკავშირებით, შესაძლო ან დამდგარ ზიანზე (ზარალზე), რომელიც გამოწვეულია შეტყობინებების გაგზავნით/ზარის განხორციელებით ან ვერ გაგზავნით/განხორციელებით.

13.6.2 კლიენტს უფლება აქვს უარი განაცხადოს ან/და ნებისმიერ დროს უკან გაიხმოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემების დამუშავებაზე გაცხადებული თანხმობა შემდეგი გზებით:

13.6.2.1 გაუგზავნოს ბანკს შეტყობინება ბანკის დისტანციური არხების (ინტერნეტბანკის ან მობაილბანკის მეშვეობით);

13.6.2.2 ეწვიოს ბანკის ნებისმიერ ფილიალს და ხელი მოაწეროს ბანკის სტანდარტების შესაბამის, პირდაპირი მარკეტინგის თაობაზე უარის თქმის განაცხადს.

13.6.3 კლიენტის მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების შესახებ თანხმობის გახმობის შემთხვევაში, ბანკი შეწყვეტს აღნიშნული მიზნით მონაცემთა დამუშავებას კლიენტის მომართვიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

13.7 კლიენტი ადასტურებს რომ იგი გაეცნო ბანკის ვებ-გვერდზე https://terabank.ge/ge/1457 განთავსებული პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკას.

14 მონაცემების ცვლილებები

14.1 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მის მიერ ბანკისთვის წარდგენილ დოკუმენტებსა და მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და შეტყობინებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტები. ცვლილებების შესახებ შეტყობინებისა და შესაბამისი დოკუმენტების მიღებამდე ბანკის მიერ ოპერაციები სრულდება ადრე წარდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის საფუძველზე. ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ განაცხადში ან/და კლიენტის მიერ სხვა ფორმით დაფიქსირებული ინფორმაცია არ შეესაბამება კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

14.2 ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

15 კონფიდენციალურობა

15.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან მეორე მხარისგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. აღნიშნული არ შეეხება იმ ინფორმაციას:

ა) რომელიც ცნობილია ინფორმაციის მიმღები მხარისათვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

ბ) რომლის გამჟღავნებაც მოხდება მხარეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ან შესასრულებლად;

გ) რომლის გამჟღავნდებაც ხდება რომელიმე მხარის მიერ სასამართლო/არბიტრაჟის წესით საკუთარი უფლებების განსახორციელებლად/დასაცავად ან/და აღნიშნულ პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

დ)რომლის კანონიერად მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;

ე) რომლის მესამე პირებისთვის მიწოდება ნებადართულია წინამდებარე პირობების სხვა ნებისმიერი პუნქტის თანახმად.

15.2 კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ძალაშია ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

16 მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

16.1 წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების ნებისმიერ დარღვევას, გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

16.3 დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.

17 მოქმედების ვადა

17.1 ეს პირობები ძალაში შევა მას შემდეგ, რაც კლიენტი შეავსებს შესაბამის განაცხადს, ხელს მოაწერს და ჩააბარებს ბანკს ან/და კლიენტი ისარგებლებს ამ პირობებით გათვალისწინებული რომელიმე საბანკო მომსახურებით. ამასთან, ძალაში შევა პირობების I და III ნაწილები სრულად და პირობების II ნაწილიდან მხოლოდ ის მუხლები, რომლებიც შეეხება კლიენტის მიერ განაცხადში მითითებულ ან/და კლიენტის მიერ მიღებულ მომსახურებას. ამასთან, თუ რომელიმე ძალაში შესული მუხლი შეიცავს მითითებას პირობების სხვა მუხლზე, მოქმედებს ასევე მითითებული მუხლები.

17.2 ხელშეკრულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, თუ იგი შეწყვეტილი არ იქნება ამ პირობებით დადგენილი წესით.

17.3 თუ ბანკი ან/და კლიენტი გადაწყვეტენ შეწყვიტონ რომელიმე სახის მომსახურებით/პროდუქტით მომსახურება, შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ძალაში იქნება მხოლოდ მითითებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

17.4 თუ წინამდებარე პირობებით, მათ შორის ანგარიშის მუხლით, ან საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ბანკს უფლება აქვს მოშალოს მთლიანი ხელშეკრულება ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში ბანკი კლიენტს გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას ამ პირობებით შეთანხმებული ფორმით, ხელშეკრულების შეწყვეტამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე.

17.5 კლიენტის მიერ ამ პირობებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ან მისი გადახდისუნარიანობის საფრთხის არსებობისას, ან თუ რომელიმე იურისდიქციის ფარგლებში ბანკისთვის უკანონო გახდა ან გახდება ამ პირობებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების შესრულება, ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით დაუყოვნებლივ მოშალოს ხელშეკრულება, შესაბამისი მომსახურება, დახუროს კლიენტის ანგარიშ(ებ)ი და მოითხოვს კლიენტის მიერ ბანკის წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვა.

17.6 კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება/ან უარი თქვას კონკრეტული მომსახურებით/პროდუქტით სარგებლობაზე ბანკისთვის ერთი თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, იმ პირობით რომ კლიენტი სრულად დაფარავს შეწყვეტამდე წარმოშობილ დავალიანებას. ამასთან, ბანკის თანხმობის შემთხვევაში ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს აღნიშნულ ვადაზე ადრეც.

17.7 ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის მიუხედავად კლიენტი ვალდებულია:

17.7.1 დაუყოვნებლივ შეასრულოს ბანკის წინაშე არსებული ყველა ვალდებულება;

17.7.2 უზრუნველყოს ანგარიშზე არსებული ნაშთის ანგარიშიდან დაუყოვნებლივ სრულად გატანა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილი იქნება ანგარიშზე არსებული ნაშთი გადაიტანოს ბანკის სატრანზიტო ანგარიშზე.

18 ცვლილებები

18.1 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე პირობებში და მომსახურების ტარიფებში. აღნიშნულის შესახებ ბანკი კლიენტის ინფორმირებას მოახდენს ცვლილებების ძალაში შესვლამდე ერთი თვით ადრე. ამ პირობებით გათვალისწინებული კომუნიკაციის წესით; რა შემთხვევაშიც კლიენტი უფლებამოსილია ბანკის მიერ ინფორმაციის ამ პირობებით დადგენილი წესით მიწოდებიდან მის ძალაში შესვლამდე სათანადო განაცხადის წარდგენით მოითხოვოს ამ პირობებით განსაზღვრული ყველა ან რომელიმე მომსახურების შეწყვეტა, რისთვისაც სრულად უნდა დაფაროს ბანკის წინაშე არსებული დავალიანება (არსებობისას). წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის შეთავაზებული ცვლილებები მიჩნეული იქნება კლიენტის მიერ მიღებულად;

18.2 პირობების/ტარიფების ცვლილება დაუყოვნებლივ, კლიენტის წინასწარი ინფორმირების გარეშე შედის ძალაში თუ:

18.2.1 პირობებით განსაზღვრული მომსახურების პირობების/ტარიფების ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ ან/და არ აუარესებს კლიენტის მდგომარეობას;

18.2.2 პირობებში ხორციელდება ახალი მომსახურების, პროდუქტის დამატება, ან არსებულის/ჩანაცვლება.

19 დასკვნითი დებულებები

19.1 ამ პირობებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ბანკსა და კლიენტს შორის იგივე საგანთან დაკავშირებით ყველა სხვა ადრე გაფორმებულ ხელშეკრულებების ან გარიგებების პირობებთან მიმართებაში.

19.2 პირობებში მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით;

19.3 პირობებით თითოეული მხარის მიერ წარმოშობილი ვალდებულებები ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების თუ მემკვიდრეებისათ-ვის/სამართალმემკვიდრეებისათვის;

19.4 კლიენტს უფლება არ აქვს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ან გადააბაროს მასზე პირობებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. ამასთან, არ გამორიცხავს ბანკის უფლებას, მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა კლიენტი;

19.5 ბანკს უფლება აქვს, კლიენტის თანხმობის გარეშე, მესამე პირს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს წინამდებარე პირობებით შეძენილი ნებისმიერი უფლება;

19.6 პირობები შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირობების არაქართულენოვანი ვერსია და ქართულ და არაქართულ ვერსიებს შორის აღმოჩნდება წინააღმდეგობა, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვერსიას;

19.7 კლიენტის მიერ ხელშეკრულებიდან ან/და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ბანკის მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.